პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი | № 96 (12304) | სამშაბათი, 24 აპრილი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

23 აპრილს საბჭოთა ხალხის რჩეულნი — სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები შეიკრიბნენ კრემლში თავიანთ პირველ სესიაზე.

16 საათზე კრემლის დიდ სასახლეში შეიკრიბნენ კავშირის საბჭოს დეპუტატები. სხდომათა დარბაზში ბევრი სტუმარია. ლოჟებში არიან — დიპლომატიური კორპუსის, საბჭოთა და საზღვარგარეთის პრესის წარმომადგენლები.

მთავრობის ლოჟებში ადგილებს იკავებენ ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ფ. რ. კოზლოვი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, შ. რ. რაშიდოვი, კ. ტ. მაზუროვი, ვ. პ. მჟავანაძე, ვ. ვ. შჩერბიცკი, პ. ნ. დემიჩევი,** რომლებსაც მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

უხუცესთა საბჭოს სახელით გამოვიდა დეპუტატი **პ. ნ. დემიჩევი** (მოსკოვი). მან წინადადება შეიტანა სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს პირველი სესიის გახსნა დაავალონ პალატის უხუცეს დეპუტატს აკადემიკოს **ა. ე. არბუზოვს** — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ყაზანის ფილიალის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს. სესიამ ერთსულოვნად მიიღო ეს წინადადება.

დეპუტატმა **ა. ე. არბუზოვმა** წარმოთქვა შესავალი სიტყვა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია, თქვა მან, მუშაობას იწყებს საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ძალების მძლავრი აღმავლობის პირობებში, რაც სკკპ XXII ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა გამოიწვიეს. საბჭოთა ადამიანები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უდიდესი ენერგიითა და შემოქმედებითი ინიციატივით იბრძვიან პარტიის დიადი პროგრამის გრანდიოზულ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის, მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყოფენ საბჭოთა საზოგადოების ერთიანობისა და დარაზმულობის ურყევ ძალას, მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეების უანგარო ერთგულებას. საბჭოთა ადამიანები დიდ მადლობას უხდიან მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით ყოველივე იმისათვის, რაც ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხალხის ბედნიერებისა და აყვავებისათვის, საყვარელი სამშობლოს ძლიერების ზრდისა და განმტკიცებისათვის.

თავის სიტყვაში დეპუტატი ა. ე. არბუზოვი შეეხო უდიდეს ცვლილებებს, რაც უკანასკნელ წლებში მოხდა ჩვენს ქვეყანაში.

კავშირის საბჭოს პირველი სესია გახსნილად გამოცხადდა.

სიტყვა მიეცა დეპუტატ **ვ. ვ. შჩერბიცკის.** ქალაქ მოსკოვის. მოსკოვისა და ლენინგრადის ოლქების და უკრაინის სს რესპუბლიკის დეპუტატთა ჯგუფის სახელით მან წინადადება შეიტანა აირჩიონ კავშირის საბჭოს თავმჯდომარედ **ი. ვ. სპირიდონოვი** — კავშირის საბჭოს დეპუტატი ლენინგრადის სმოლნის საარჩევნო ოლქისაგან. ეს წინადადება ერთხმად მიიღეს.

ერთსულოვნად აირჩიეს ავრეთვე პალატის თავმჯდომარის მოადგილენი: **მ. ა. სტელმახი** (უკრაინის სსრ), **კ. ი. სატპაევი** (ყაზახეთის სსრ), **შ. მ. ჰასანოვი** (აზერბაიჯანის სსრ), **მ. ა. აბდურაზაკოვი** (უზბეკეთის სსრ).

შემდეგ დაამტკიცეს პალატის სხდომებისა და კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომების რეგლამენტი.

თავმჯდომარე **ი. ვ. სპირიდონოვმა** გამოაცხადა, რომ კავშირის საბჭოს სხდომას ესწრება კენიის საკანონმდებლო საბჭოს წევრთა ჯგუფი კენიის აფრიკელთა ეროვნული კავშირის პარტიის მდივნის ჯონ კენის მეთაურობით, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სტუმრად იმყოფება სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მოწვევით.

დეპუტატები გულთბილად მიესალმნენ აფრიკის წარმომადგენლებს.

პალატამ დაიწყო სესიის დღის წესრიგის განხილვა. დეპუტატ **გ. ი. ვორობიოვის** წინადადებით, რომელიც გამოვიდა უხუცესთა საბჭოს სახელით, კავშირის საბჭომ მიიღო წინადადება — შეიტანოს სესიის დღის წესრიგში შემდეგი საკითხები:

1. კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევნები.
2. კავშირის საბჭოს მუდმივ კომისიათა არჩევა.
3. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.
4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევა.
5. მოხსენება ჟენევის მოლაპარაკების შესახებ.
6. სსრ კავშირის მთავრობის — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შექმნა.
7. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს არჩევა.
8. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შემუშავება.

მიიღეს გადაწყვეტილება — აირჩიონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და შექმნან სსრ კავშირის მთავრობა ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე.

კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომებზე მოისმენენ და განიხილავენ მოხსენებას ჟენევის მოლაპარაკების შესახებ, აირჩევენ სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს და განიხილავენ საკითხს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შემუშავების შესახებ.

კავშირის საბჭოს სესიამ დაიწყო დღის წესრიგში შეტანილ საკითხთა განხილვა.

დეპუტატმა **ა. ი. პელშემ** წინადადება შეიტანა აირჩიონ სამანდატო კომისია 21 კაცის შემადგენლობით. ეს წინადადება ერთსულოვნად მიიღეს. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი **ლ. ნ. ეფრემოვი** (გორკის ოლქი).

დეპუტატ **ა. ვ. ბასოვის** მიერ შეტანილი წინადადებით შეიქმნა კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისია 31 კაცის შემადგენლობით. კომისიის თავმჯდომარეა **გ. ი. ვორობიოვი** (კრასნოდარის მხარე).

დეპუტატ **დ. ა. კუნაევის** წინადადებით შეიქმნა კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისია 39 კაცის შემადგენლობით. კომისიის თავმჯდომარეა დეპუტატი **ი. ხ. ხენინი** (უკრაინის სსრ).

დეპუტატ **ა. ა. მიურისეპის** წინადადებით შეიქმნა საგარეო საქმეთა კომისია 23 კაცის შემადგენლობით. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი **მ. ა. სუსლოვი.**

ამით კავშირის საბჭოს პირველი სხდომა დამთავრდა.

ეროვნებათა საბჭოს სხდომა მიმდინარეობდა კრემლის თეატრში.

დეპუტატები და სტუმრები მქუხარე ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **ა. ნ. კოსიგინს, ო. ვ. კუუსინენს, ა. ი. მიქოიანს, ნ. მ. შვერნიკს, ბ. ნ. პონომარიოვს, ა. ნ. შელეპინს,** რომლებიც მთავრობის ლოჟებში შემოვიდნენ.

დეპუტატმა **პ. ა. სატიუკოვმა** უხუცესთა საბჭოს სახელით წინადადება შეიტანა დაავალონ სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს პირველი სესიის გახსნა პალატის უხუცეს დეპუტატს **ო. ვ. კუუსინენს** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს. დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს ეს წინადადება.

თავის სიტყვაში **ო. ვ. კუუსინენმა** ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრ კავშირის ახლად არჩეული უმაღლესი საბჭოს პირველი სესია შეიკრიბა საბჭოთა ხალხის შრომითი ენერგიისა და შემოქმედებითი ინიციატივის უმაგალითო აღმავლობის ვითარებაში, რომელიც XXII ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, და მის მიერ მიღებულმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალმა პროგრამამ გამოიწვიეს.

დეპუტატმა ო. ვ. კუუსინენმა ილაპარაკა შეკავშირებულ ოჯახად გაერთიანებულ საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობაზე, მასების მაღალ პოლიტიკურ აქტივობაზე ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების პერიოდში.

საბჭოთა მთავრობა, რომელიც მშვიდობის თანამიმდევრულ პოლიტიკას ახორციელებს, იძულებულია გამოიჩინოს დიდი სიფხიზლე, გაითვალისწინოს თანამედროვე საერთაშორისო ვითარების მთელი სირთულე, იმპერიალისტთა მთელი ხრიკები და მანევრები.

ორატორმა რწმენა გამოთქვა, რომ სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ღირსეულ წვლილს შეიტანენ საბჭოთა ხალხის წინაშე დასახულ ისტორიულ ამოცანათა გადაჭრაში, სავსებით გაამართლებენ ამომრჩეველთა დიდ ნდობას.

დეპუტატმა **ნ. ა. მურავიოვამ** რუსეთის სფსრ რესპუბლიკის, ლატვიის სს და ლიტვის სს რესპუბლიკების ეროვნებათა საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის დავალებით წინადადება შეიტანა აირჩიონ ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარედ დეპუტატი **ი. ვ. პეივე** — ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს დეპუტატი **ი. ვ. პეივე.**

ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად ერთხმად აირჩიეს დეპუტატები **ი. ა. კაიროვი** (რუსეთის სფსრ), **ა. ე. კორნეიჩუკი** (უკრაინის სსრ), **ფ. ა. სურგანოვი** (ბელორუსიის სსრ), **ს. ბეგმატოვა** (ყირგიზეთის სსრ).

რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ ერთხმად მიიღეს სესიის შემდეგი დღის წესრიგი:

1. ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევნები.
2. ეროვნებათა საბჭოს მუდმივ კომისიათა არჩევა.
3. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.
4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევა.
5. მოხსენება ჟენევის მოლაპარაკების შესახებ.
6. სსრ კავშირის მთავრობის — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შექმნა.
7. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს არჩევა.
8. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შემუშავება.

შემდეგ ეროვნებათა საბჭომ აირჩია პალატის სამანდატო კომისია. დეპუტატ **ი. აშუროვის** წინადადებით სამანდატო კომისია არჩეულია 21 კაცის შემადგენლობით. კომისიის თავმჯდომარეა დეპუტატი **მ. ს. სინიცა** (უკრაინის სსრ).

დეპუტატ **მ. გაბუროვის** წინადადებით აირჩიეს ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისია 31 კაცის შემადგენლობით. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი **ნ. ზარიპოვა** (ტაჯიკეთის სსრ).

დეპუტატმა **ე. ნ. ალიხანოვმა** წინადადება შეიტანა აირჩიონ პალატის საბიუჯეტო კომისია 39 კაცის შემადგენლობით. კომისია ერთხმად აირჩიეს. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი **მ. ა. იასნოვი** (რუსეთის სფსრ).

ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისია დეპუტატ **ი. იუსუპოვის** წინადადებით არჩეულია 23 კაცის შემადგენლობით. კომისიის თავმჯდომარეა დეპუტატი **ო. ვ. კუუსინენი.**

დეპუტატ **ი. ა. მანაუშისის** წინადადებით შეიქმნა ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისია 31 კაცის შემადგენლობით. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი **ო. ი. ივაშჩენკო** (უკრაინის სსრ)

ამით ეროვნებათა საბჭოს სხდომა დამთავრდა.

24 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია განაგრძობს მუშაობას. (საკდესი).

ლენინის უძლეველი დროშით

საზეიმო სხდომა სსრ კავშირის დიდ თეატრში



„მომავალზე ფიქრით“. მხატვარი ნ. ნ. შუკოვი.

ბრის სახელი, რომელიც უსაზღვროდ ძვირფასია მთელი მსოფლიოს მშრომელი ადამიანებისათვის, იგი კაცობრიობის გზის მანათობელი ვარსკვლავია. ეს სახელი ლენინია. უკვდავი სახელი, რომელიც მოუწოდებს ადამიანს თავისუფლებისათვის, ნამდვილი ბედნიერებისათვის საბრძოლველად.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა სიყვარული ლენინისადმი მკაფიოდ გამოიხატება მათი ერთგულებით მისი ანდერძისადმი, გმირული საქმეებით, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმით. ზუსტად, დიდი მესაჭის მიერ დასახული კურსით მიდიან ისინი თავიანთი სანუკვარი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ.

კომუნისტური საზოგადოების გზაზე მსოფლიო-ისტორიული ეტაპი იყო ჩვენი პარტიის XXII ყრილობა. მან მიიღო სკკპ ახალი პროგრამა — ეპოქალური მნიშვნელობის დოკუმენტი. თანამედროვეობის ამ კომუნისტურ მანიფესტს უველა კონტინენტზე ხვდებიან როგორც მეცნიერული კომუნიზმის ტრიუმფს.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 92-ე წლისთავს საბჭოთა ხალხი ხვდება თავისი მჩქეფარე შემოქმედებითი საქმიანობით, რომლის მიზანია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დიდებული პროგრამის განხორციელება.

ღირსშესანიშნავი თარიღის დღესასწაულის ცენტრალური მოვლენა გახდა საზეიმო სხდომა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში.

22 აპრილი. სსრ კავშირის დიდი თეატრი. დარბაზი, რომელშიც საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე არაერთგზის გაისმოდა ილიჩის შთამაგონებელი სიტყვა. სცენის სიღრმეში ალისფერი ალმის ფონზე ვ. ი. ლენინის უზარმაზარი პორტრეტია. ხაბრძოლო დროშებთან დგას საპატიო სამხედრო ყარაული. ელვარებს თარიღები „1870-1962“. სცენის თავზე წარწერილია სიტყვები: „გაუმარჯოს ლენინიზმის ყოვლისმძლე დროშას!“.

დარბაზში შეიკრიბნენ მუშები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, კოლმეურნეები, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრები, უცხოელი სტუმრები.

საღამოს 5 საათია. პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ნ. კოსიგინი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, ვ. ვ. გრიშინი, შ. რ. რაშიდოვი, კ. ტ. მაზუროვი, ვ. პ. მჟავანაძე, ვ. ვ. შჩერბიცკი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. თ. ილიჩოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. ნ. შელეპინი, ძველი კომუნისტები, წარმოების ნოვატორები, კომუნისტური ბრიგადების ხელმძღვანელები, თვალსაჩინო მეცნიერები, კონსტრუქტორები, მხედართუფროსები. დამსწრენი მათ მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

ვ. ი. ლენინის დაბადების 92-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომას ხსნის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი. იგი ამბობს:

ძვირფასო ამხანაგებო!

დღეს საბჭოთა ხალხი, მთელი მსოფლიოს მოწინავე ადამიანები საზეიმო ვითარებაში აღნიშნავენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის — დიდი მოაზროვნისა და რევოლუციონერის, ჩვენი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, პროგრესული კაცობრიობის ბელადის დაბადების 92-ე წლისთავს.

ლენინის სახელთან განუყრელად დაკავშირებულია მსოფლიოს განახლება კომუნისტურ საწყისებზე, იგი იდგა თანამედროვე ეპოქის უდიდეს რევოლუციურ ცვლილებათა სათავეესთან. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სხივებმა გაანათეს ულის მზესავით შეაღწია ამუამად დედამიწის ყველა კუთხეში.

მარქსიზმ-ლენინიზმმა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის საბრძოლველად დარაზმა და ახლაც რაზმავს მილიონობით და ათეულ მილიონობით ადამიანს. მთელი მსოფლიოს მშრომელთა განმათავისუფლებელი ბრძოლა გაანათეს ულის ფაქელი. ეს ფაქელი ანთებულია ლენინიზმის ალმით. ეს ალმი ანთებულია ლენინის ხელით. ეს ალმი ანთებულია ლენინის ხელით. ეს ალმი ანთებულია ლენინის ხელით.

ლენინის იდეები, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები მუდამ იცოცხლებენ ჩვენს გულში. ყველა მშრომელის გულში, აღგვაფრთოვანებენ კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის, კომუნიზმისათვის საბრძოლველად. (ხანგრძლივი ტაში).

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, გავხსნა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. (ტაში).

სრულდება საბჭოთა კავშირის ჰიმნი.

მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ ლ. თ. ილიჩოვს. (ტაში).

შეკრებილნი დიდი აღფრთოვანებით მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი. (საკდესი).

ლენინური პრემიის ლაურეატები

ს. მალიშევი.

ლ. პონტრიაგინი.

ვ. პოლტიანსკი.



ვ. მიშჩენკო.



რ. ბაფერელიძე.

მაღალი ჯილდო, დიდი მოვალეობა

ს. შარაძენიძე,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი, ლენინური პრემიის ლაურეატი

ოცდაორი აპრილი დაუვიწყარი იქნება რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივისათვის. პრესაში გამოქვეყნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტის ცნობა ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ, რითაც შევიტყეთ, რომ ჩვენი ქარხნის მუშაკებს დგან „400“-ის სრული მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, რომელიც ევროპაში პირველად რუსთავში განხორციელდა, მიენიჭათ მაღალი ჯილდო—ლენინური პრემია.

ეს დიდი ჯილდო გვეკუთვნის არა მარტო ჩვენ, არამედ მთელი ქარხნის კოლექტივს, რომელმაც მაღალნაყოფიერი, შემოქმედებითი შრომით საასახელო გამარჯვებებს მიაღწია. ჩვენი შრომის ეს მაღალი შეფასება დიდ მოვალეობას გვაკისრებს.

კოლექტივის სახელით, ამბობს ს. შარაძენიძე, პირობას ვიძლევი, რომ ჩვენი ქარხანა კვლავ გაბედული ნაბიჯით ივლის წინ მეტალურგიულ მრეწველობაში ახალი ზღუდეების დასაპყრობად. ჩვენ პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების საპასუხოდ ვალდებულება ვიკისრეთ შვიდწლედის საკონტროლო ციფრები შევასრულოთ 1963 წლისათვის.

ავტომატიზაციისა და მექანიზაციის საქმეში ბევრი რამ კიდევ გასაკეთებელი გვაქვს. ჩვენი ქარხნის კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ სიახლეთა დანერგვით მიაღწიოს მაღალ წარმატებებს წარმოების ყველა დარგში.

□

ს. მალიშევი,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთავარი ინჟინერი, ლენინური პრემიის ლაურეატი

სიტყვები არ მყოფნის გამოვხატო ის დიდი სიხარული, რაც ჩემში გამოიწვია პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ჩვენი შრომის მაღალმა შეფასებამ.

ეს მაღალი ჯილდო, ამბობს ს. მალიშევი, დიდი შრომის ფასად მოვიპოვეთ, დგან „400“-ის კომპლექსური ავტომატიზაცია 1955 წლიდან დავიწყეთ. დასახული მიზნის განხორციელებისათვის მოგვიზდა ბევრი საძიებელი და კვლევითი მუშაობის გაწევა ავტომატური მართვის სქემების დამუშავებაში, რისთვისაც ასე აქტიურად მუშაობდა საამქროს მთელი კოლექტივი.

დიდი და დაძაბული შრომის შედეგად შარშან განხორციელდა დგან „400“-ის სრული ავტომატიზაცია და მექანიზაცია. ავრეგატის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განხორციელებით უკვე მიღებულია დიდი ეკონომიური ეფექტი.

ჩვენ ეს წარმატება ერთი წუთითაც არ გვაძლევს დამშვიდების უფლებას. კვლავაც დაუცხრომლად ვიბრძოლებთ შრომატევადი პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის განხორციელებისათვის.

□

ი. ჟორდანია,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს უფროსის მოადგილე, ლენინური პრემიის ლაურეატი

ადამიანის შრომა ისე არსად არ არის დაფასებული, როგორც ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოში. სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენი ადამიანები დღისა თუ პატარა უბნებზე მსოფლიოში არნახულ წარმატებებს აღწევენ. ჩვენც პარტიის ზრუნვით გარემოსილმა რუსთაველმა მეტალურგებმა, ამბობს ი. ჟორდანია, მეტალურგიაში ავტომატიზაციისა და მექანიზაციის სფეროში ახალი სიტყვა ვთქვით და ამით მაღალი ჯილდო დავიმსახურეთ.

ეს ჯილდო არა მარტო ჩვენი დამსახურებაა არამედ ქარხნის მთელი კოლექტივისა, რომელიც ერთსულოვნად იბრძოდა ამ სიახლის წარმოებაში დანერგვისათვის.

დგან „400“-ის კომპლექსურმა ავტომატიზაციამ დიდად შეამსუბუქა მუშათა შრომა და მკვეთრად გაზარდა მილების გამოშვება. მილმგლინავებმა მარტში ახალი რეკორდი დამყარეს.

ბოლო ინტერვიუ

გულითადი მილოცვები

მოსკოვი, 20 აპრილი. (საკდესი). ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და ლ. ი. ბრეჟნევმა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვლადისლავ გომულკას, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ალექსანდრე ზავადსკისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს იუზეფ ცირანკევიჩს გაუგზავნეს მისალოცი დეპეშა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების მე-17 წლისთავის გამო.

მოსკოვი, 20 აპრილი. (საკდესი). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა ვ. გომულკამ, ა. ზავადსკიმ და ი. ცირანკევიჩმა ნ. ს. ხრუშჩოვსა და ლ. ი. ბრეჟნევს გამოუგზავნეს დეპეშა, რომელშიც გამოთქვამენ საუკეთესო სურვილებსა და მილოცვას პოლონეთისა და სსრ კავშირის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერის მე-17 წლისთავის გამო.

* * *

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ ღირსშესანიშნავი თარიღი მიულოცა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ადამ რაპაცკის.

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. რაპაცკიმ მისალოცი დეპეშა გამოუგზავნა ამის გამო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. გრომიკოს.

შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

შეჯამდა ამიერკავკასიის რკინიგზის საწარმოთა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების 1962 წლის პირველი კვარტალის შედეგები.

საპირველმაისო შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა რესპუბლიკის უძველესი საწარმოს — თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც ყველა სოციალისტური ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულა. ლოკომოტივების შეკეთების კვარტალური გეგმა შესრულებულია 106,8 პროცენტით, მთლიანლითონის ვაგონებისა — 180 პროცენტით. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე თუჯისა და ფერადი სხმულის დავალებები. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 8 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება თითქმის ამდენითვე შემცირდა. მიღწეული წარმატებებისათვის ქარხნის კოლექტივს მიენიჭა სსრ კავშირის გზათა სამინისტროსა და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, აგრეთვე პირველი ფულადი პრემია.

პირველი ადგილი და საგზაო გარდამავალი წითელი დროშება მიენიჭათ ამიერკავკასიის მაგისტრალის სამტრედიის განყოფილების, ნავთლუღის, ტყიბულისა და ზესტაფონის სადგურების, ქუთაისის ვაგზლის, ხაშურის სავაგონო დეპოს, სამტრედიის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციის, ხაშურის შენობათა და ნაგებობათა დისტანციის, თბილისის დატვირთვისა და გადმოტვირთვის სამუშაოთა კანტორის, ხაშურის ენერგომომარაგების უბნის კოლექტივებს. (ხაშდეკი).

ლენინური კურსით კომუნიზმის გამარჯვებისაკენ

ამხანაგ ლ. თ. ილიჩოვის მოხსენება ვ. ი. ლენინის დაბადების 92-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე მოსკოვში

ამხანაგებო!

კაცობრიობა სათუთად და სიყვარულით ინახავს მეხსიერებაში ხალხის ბედნიერებისათვის დიდ მებრძოლთა სახელებს.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მათ შორის. ვ. ი. ლენინის გმირული ცხოვრება უმაგალითოა. მისმა იდეებმა, მისმა საქმემ წარუშლელი კვალი დაჩნია ახლანდელ და მომავალ თაობათა ბედს. მრავალმხრივი და უსაზღვრო ვ. ი. ლენინის მოღვაწეობა. „ყველაზე მიწიერი ყველა იმ ადამიანს შორის, რომლებსაც დედამიწაზე უცხოვრიათ“ — იგი იყო იმ ახალი სამყაროს ადამიანი, რომლის შექმნასაც მოახმარა მთელი თავისი შესანიშნავი სიცოცხლე.

გიმუშაოთ და ვაშენოთ ჩვენი ცხოვრება „ლენინის მიხედვით“— აი ჩვენი დროის ადამიანის უმაღლესი იდეალი.

ჩვენი დაუვიწყარი მასწავლებლისა და ბელადის დაბადების დღეს ჩვენ კვლავ პატივს ვცემთ ლენინის გენიის უკვდავებას, ვამოწმებთ ჩვენს თავს და თითქოს მოვახსენებთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელს მისი დიადი ანდერძის შესრულებას.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ცოტა ხნის შემდეგ ვ. ი. ლენინი წერდა: „კაპიტალიზმისა და მისი კვალის მოსპობა, კომუნისტური წყობილების საფუძველთა შემოღება შეადგენს მსოფლიო ისტორიის ახლახან დაწყებული ახალი ეპოქის შინაარსს“. (თხზ., ტ. 31, გვ. 478). და აი, სულ მხოლოდ ოთხი ათეული წლის შემდეგ, XXII ყრილობაზე—კომუნიზმის მშენებელთა ყრილობაზე პარტიამ საქვეყნოდ გამოაცხადა: საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს!

აღნიშნავს რა დღეს ვ. ი. ლენინის დაბადების 92-ე წლისთავს, საბჭოთა ხალხს სიამაყით შეუძლია თქვას:

— ძვირფასო ვლადიმერ ილიას-ძევ! პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი მიგვიძღვიან სწორი, ზუსტად შენ მიერ ნაჩვენები კურსით! ჩვენ იერიში მიგვაქვს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გადამწყვეტ მიჯნებზე!

I.

პარტია რჩევისათვის მიმართავს ლენინს

ამხანაგებო! ისტორიამ არ იცის სხვა მოძღვრება, რომელსაც ესოდენ დიდი გამარჯვებული ზემოქმედება მოეხდინოს თავისი დროის საზოგადოებრივ განვითარებაზე, როგორიც მოახდინა და კვლავ ახდენს მარქსიზმ-ლენინიზმი კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქის საზოგადოებრივ განვითარებაზე. მარქს-ენგელს-ლენინის მოძღვრება ახლა მილიონების მოძღვრება და დროშა გახდა.

კ. მარქსსა და ფ. ენგელსს მუშათა მოძრაობის მხოლოდ დაწყებითი ეტაპის გამოცდილება ჰქონდათ. ისინი ჭვრეტდნენ კომუნისტურ მომავალს, მაგრამ შესაძლებლობა არ ჰქონდათ უშუალოდ შეექმნათ იგი. სხვა პირობებში გაიშალა ვ. ი. ლენინის რევოლუციური მოღვაწეობა. უაღრესად გაფართოვდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჰორიზონტები. კაპიტალიზმის აღმავალი განვითარების შედარებით მშვიდობიანი ევოლუციური პერიოდი შეცვალა იმპერიალიზმმა მისი უმწვავესი სოციალური კონფლიქტებით. მუშათა კლასი გაიზარდა მსოფლიო პროგრესის წამყვან ძალად. კოლონიური აღმოსავლეთი გამოვიდა დიდი პოლიტიკის ასპარეზზე.

დადგა პროლეტარული რევოლუციების ერა.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა მეცნიერულად დაასაბუთეს, რომ გარდუვალია კაცობრიობის ექსპლოატატორული წინაისტორიის შეცვლა მისი ნამდვილი კომუნისტური ისტორიით. ვ. ი. ლენინმა, მის მიერ შექმნილმა პარტიამ 1917 წლის ოქტომბერში გადაშალეს ამ ისტორიის პირველი ფურცელი.

თუ XIX საუკუნეში მეცნიერული კომუნიზმი მნიშვნელოვანწილად რჩებოდა ჯერ კიდევ იდეური ბრძოლის ჩარჩოებში, XX საუკუნეში იგი გამოვიდა ფართო რევოლუციური პრაქტიკის ასპარეზზე. ვ. ი. ლენინმა არა მარტო თეორიულად დაასაბუთა ახალი საზოგადოების აშენების კონკრეტული გზები, არამედ ქვაკუთხედიც ჩაუყარა მის საძირკველს, შექმნა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო და სათავეში ჩაუდგა მას. ახალ ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ვ. ი. ლენინმა უფრო მკაფიოდ დაინახა და გვიჩვენა ახალი, კომუნისტური სამყაროს სახე. მის სახელთან დაკავშირებულია შემუშავება ჩვენი პარტიის პირველი და მეორე პროგრამებისა, რომლებმაც განსაზღვრეს ძირითადი ნიშანსვეტები კომუნიზმის გზაზე.

ისტორიის წინაშე ვ. ი. ლენინის უდიდესი დამსახურებაა ახალი ტიპის პარტიის — მეცნიერული კომუნიზმის პარტიის, ნოვატორთა პარტიის შექმნა. მან აღზარდა პარტია ცხოველმყოფელი ოპტიმიზმის სულისკვეთებით, შექმნა პარტიის მტკიცე თეორიული, პოლიტიკური და ორგანიზაციული საფუძვლები, გამოჭედა მისი რიგების ფოლადისებური ერთიანობა.

ჩვენს პარტიას ყოველთვის მაღლა ეჭირა ლენინური დროშა და წმიდად იცავდა მას.

ძლევდა რა სიძნელეებს, იწრთობოდა რა ბრძოლაში ტროცკისტების, მემარჯვენე და სხვა კაპიტულანტების წინააღმდეგ, პარტიამ უზრუნველყო სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში. ვერავითარმა ქარიშხალმა და გაჭირვებამ, კომუნიზმის შინაური და გარეშე მტრების ვერავითარმა იერიშებმა ვერ აიძულა პარტია დაეხარა ლენინური დროშა. პარტიამ მკაცრად დაგმო სტალინის პიროვნების კულტი, რომელიც უცხოა მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებისათვის, აღადგინა და განავითარა პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმები. პიროვნების კულტის მავნე შედეგების ლიკვიდაცია, მალენკოვის, მოლოტოვის, კაგანოვიჩისა და სხვების ანტიპარტიული ფრაქციული ჯგუფის იდეური და პოლიტიკური განადგურება დიდი გამარჯვებაა ჩვენი პარტიისა, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით.

ვ. ი. ლენინის შემდეგ არასოდეს არ გამოვლინებულა ლენინური სულისკვეთება პარტიის საქმიანობაში ისე ღრმად და მკაფიოდ, როგორც უკანასკნელ წლებში.

სკკპ XX ყრილობის მიერ დასახული პარტიის გენერალური ხაზის სრულმა გამარჯვებამ მომზადა ყველა პირობა ჩვენი სამშობლოს შესასვლელად ისტორიული განვითარების ახალ ხანაში — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში. კომუნისტური მშენებლობის ძირითადმა ამოცანებმა კონცენტრირებული გამოხატულება ჰპოვეს სკკპ ახალ პროგრამაში, რომელიც ისტორიულმა XXII ყრილობამ მიიღო.

ჩვენმა პარტიამ შეიმუშავა თავისი ახალი პროგრამა საბჭოთა საზოგადოების ცხოველმოქმედების ლენინური ნორმების აღდგენისა და შემდგომი განვითარების, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გადამწყვეტ უბნებზე ლენინურად გაბედულ რევოლუციურ გარდაქმნათა განხორციელების, ლენინური აზროვნების საგანძურის, თეორიული შემოქმედების ლენინური მეთოდების უნარიანი გამოყენების საფუძველზე. სკკპ პროგრამა აგებულია ზუსტ მეცნიერულ საძირკველზე.

XXII ყრილობაზე ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა: „მესამე პროგრამის მომზადების დროს ჩვენ მუდამ მიმართავდით რჩევისათვის ლენინს, ვეყრდნობოდით მის გამჭრიახ წინასწარდასახულობებს, მის გენიალურ იდეებს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის შესახებ“.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა მოგვცეს კომუნისტური საზოგადოების უმაღლესი ფაზის ზოგადი ესკიზი. ვ. ი. ლენინმა მეცნიერული კომუნიზმის თეორია განასახიერა ჩვენი სამშობლოს სოციალისტური გარდაქმნის პირველი რიგის ამოცანების მკაფიო გეგმაში. სკკპ ახალი პროგრამა შემდგომ ნაბიჯს დგამს წინ და განსაზღვრავს კომუნიზმის აშენების კონკრეტულ სამუშაო გეგმას, დაწყებული ეკონომიური საძირკვლით და დამთავრებული მის მოქალაქეთა მორალური კოდექსით.

პარტიის ახალი პროგრამა ნამდვილად ლენინური პროგრამაა, ახალი თაავია ლენინიზმის განვითარებაში.

II.

ლენინური იდეები ხორციელდება

ამხანაგებო! ჩვენი პარტია ყოველთვის ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს ლენინური მითითებით იმის შესახებ, რომ მაღალგანვითარებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მძლავრი საწარმო ძალების შექმნა შეადგენს კომუნისტური მშენებლობის გადამწყვეტ რგოლს. ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჩვენ ვაფასებთ კომუნიზმს მხოლოდ მაშინ, როცა იგი დასაბუთებულია ეკონომიურად“. მხოლოდ ახალი საზოგადოების მაღალგანვითარებული ეკონომიკის საფუძველზე და მისი შექმნის პროცესში შეიძლება განვახორციელოთ პრინციპი — „თვითეულისაგან უნარის მიხედვით, თვითეულს მოთხოვნილების მიხედვით“, ჩამოვაყალიბოთ კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობა, აღვზარდოთ ახალი ადამიანი.

სხვანაირად ფიქრი და მოქმედება, ახალი ურთიერთობის შექმნის დაჩქარება, საწარმოო ძალების განვითარების მიღწეული დონის გაუთვალისწინებლად, ნიშნავს ვუღალატოთ ლენინური მოძღვრების სულისკვეთებას.

ვ. ი. ლენინი მუდამ აღნიშნავდა, რომ კომუნიზმი წარმოუდგენელია, თუ არ იქნა მაღალგანვითარებული ეკონომიური ბაზა, რომელიც „შეიძლება იყოს მსხვილი მანქანური მრეწველობა, რომელსაც შეეძლება მოახდინოს მიწათმოქმედების რეორგანიზაციაც“. საბჭოთა ხელისუფლების პირველ, მეტად ძნელ წლებში ვლადიმერ ილიას-ძე იყო ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის პირველი გეგმის, სოციალისტური ინდუსტრიის განვითარების, ურალ-კუზნეცკის ქვანახშირ-მეტალურგიული ბაზის შექმნის, კურსკის მაგნიტური ანომალიის შესწავლის გეგმებისა და ბევრი სხვა ასევე საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი წამოწყების ინიციატორი.

და თუ საბჭოთა კავშირი გახდა მსოფლიოს პირველხარისხოვანი სამრეწველო სახელმწიფო, ახლა იმყოფება მსოფლიო მეცნიერული და ტექნიკური პროგრესის ავანგარდში, უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ჩვენმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა განახორციელეს დიადი ლენინური იდეები.

აი მონაცემები სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის ზრდის შესახებ 1923-1961 წლებში ამავე პერიოდის მონაცემებთან შედარებით ამერიკის შეერთებულ შტატებში.

1923 წელს საბჭოთა კავშირი აწარმოებდა მხოლოდ 615 ათას ტონა ფოლადს; 11,5 მილიონ ტონა ნახშირს (ქვანახშირზე გაანგარიშებით); ხუთ მილიონ ტონაზე ცოტა მეტ ნავთობს; 300 ათას ტონაზე ნაკლებ ცემენტს. ჩვენ ჩამოვრჩებოდით მაშინ ამერიკის დონეს: ფოლადის წარმოებაში — 74-ჯერ, ქვანახშირის — 52-ჯერ, ნავთობის — 19-ჯერ და ცემენტის წარმოებაში — 87-ჯერ. განვლილ წლებში ფოლადის წარმოება საბჭოთა კავშირში გაიზარდა 115-ჯერ, ქვანახშირისა — 39-ჯერ, ნავთობისა — 31-ჯერ და ცემენტისა — 188-ჯერ. ამერიკის შეერთებულ შტატებში კი წარმოება გადიდდა მხოლოდ 2-3-ჯერ, ხოლო ქვანახშირის ამოღება კიდევაც შემცირდა.

ამის შედეგად წარმოების დონეთა თანაფარდობაც სულ სხვაგვარი გახდა. საბჭოთა წარმოება ამერიკის წარმოებასთან შედარებით შეადგენდა 1961 წელს: ფოლადისა — 78 პროცენტს, ქვანახშირისა — 118 პროცენტს, ნავთობისა — 47 პროცენტს, ცემენტისა — 94 პროცენტს.

ჩვენი პარტია ლენინურად იქცევა, თანმიმდევრულად რომ ახორციელებს მძიმე ინდუსტრიის — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საფუძველთა საფუძველის, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის შემდგომი განვითარების, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების კურსს.

მხოლოდ დოქტრინიორებსა და თავგზაბნეულ რევიზიონისტებს შეუძლიათ დაუპირისპირონ ერთმანეთს მძიმე ინდუსტრია და მოხმარების საგნების წარმოება, მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების თეორია მოითხოვს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ჰარმონიულ პროპორციულ განვითარებას და მძიმე ინდუსტრიის წამყვან როლს.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი პირნათლად ასრულებს თავის წამყვან როლს კომუნიზმის მშენებლობაში.

მრეწველობის განვითარების დაგეგმილ ტემპებს მნიშვნელოვნად გადავაჭარბებთ. შვიდწლიანი გეგმის დავალებათა გადაჭარბებით შესრულების შედეგად სსრ კავშირის სამრეწველო წარმოების მოცულობა შვიდწლედის განმავლობაში გადიდდება არა 80 პროცენტით, როგორც ეს ადრე იყო გათვალისწინებული, არამედ დაახლოებით ერთიორად. 1962 წელს ჩვენი მრეწველობა ყოველ სამ დღეში აწარმოებს მეტ პროდუქციას, ვიდრე მთელ 1923 წელს. მარტო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სამრეწველო პროდუქციის წარმოება ოცდაათჯერ მეტი იყო, ხოლო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა — 23-ჯერ მეტი, ვიდრე ვ. ი. ლენინის სიცოცხლის მთელი უკანასკნელი წლის განმავლობაში.

მაგრამ საბჭოთა მრეწველობის წარმატებანი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნება, თუ ავამოძრავებთ მთელ რეზერვებს, ვისწავლით მათ სწორად და სრულად გამოყენებას. თუ თვითეული მუშა, ინჟინერი, წარმოების ორგანიზატორი გამოიყენებს მთელ შესაძლებლობებს შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის რაოდენობის ზრდისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის, კიდევ უფრო დაჩქარდება ჩვენი წინსვლა კომუნიზმისაკენ.

სოციალისტური მრეწველობა უკვე მოპოვებული ბაზაა ყველა სხვა ამოცანის წარმატებით გადაჭრისა და უწინარეს ყოვლისა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის.

მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. მისი შემდგომი განვითარების ინტერესები მტკიცედ მოითხოვს აღმოიფხვრას სასოფლო-სამეურნეო წარმოების ჩამორჩენა მოსახლეობის მზარდი მოთხოვნებისაგან.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მარტის პლენუმზე შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება საშუალებას მოგვცემს მოკლე ვადებში ავიყვანოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოება თანამედროვე მოთხოვნების დონეზე. ამ ღონისძიებებში დიდმნიშვნელოვანი რგოლია სოფლის მეურნეობის მართვის რეორგანიზაცია.

ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ თავის დროზე სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელი აპარატის შექმნისას, სამწუხაროდ, არ განხორციელებულა ლენინური მითითებანი. ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ მეურნეობის მართვისას რეზოლუციებს კი არ უნდა ვწერდეთ, არამედ უშუალოდ უნდა მოვაწყოთ წარმოება მეცნიერების მონაცემებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის საფუძველზე. როგორც კომუნიზმის მშენებლობის პიონერი, ვ. ი. ლენინი გაბედულად უკუაგდებდა დრომოჭმულს, ეძებდა ახალს და, თუ საჭირო იყო, ახდენდა მკვეთრ შემობრუნებას, ამსხვრევდა დამყაყებულს, ხელახლა გადააკეთებდა გაკეთებულს, სანამ სწორ გზას არ იპოვნიდა.

პარტია ახორციელებს სოფლის მეურნეობის მართვის აპარატის ძირეულ გარდაქმნას, ხოლო უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, — ხელახლა ქმნის მას, ითვალისწინებს რა პოლიტიკურ და ეკონომიურ მიზანშეწონილობას. შექმნა ტერიტორიული საწარმოო სამმართველოებისა, სამმართველოთა საბჭოებისა დემოკრატიულ საწყისებზე, სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელი კომიტეტებისა უმნიშვნელოვანესი რეფორმაა, რომელიც უდრის მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნას, რაც პარტიამ 1957 წელს მოახდინა.

შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ ამ რეფორმას არც ნაკლები დადებითი შედეგები მოჰყვება.

პარტიის XXII ყრილობამ ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი, რომ საჭიროა მტკიცედ იყოს დაცული პირადი მატერიალური დაინტერესება სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში. შრომის მატერიალური და მორალური სტიმულების უნარიანი შეხამება, ყველა მშრომელის აღზრდა შრომის საუკეთესო ნიმუშებით პარტიას მიაჩნია კომუნიზმისაკენ სვლის ერთადერთ სწორ, ლენინურ გზად.

კომუნიზმი, ამბობს ზოგიერთი ამხანაგი, მოთხოვნილების მიხედვით განაწილებას გულისხმობს, ხოლო რაკი ასეა, ხომ არ შეიძლება უკვე ამჟამად, ასე ვთქვათ, „გეგმის გადაჭარბებით შესრულების“ წესით, გადავიდეთ ამ პრინციპზე. სამწუხაროდ, არამარტო ამბობენ, არამედ ხშირად კიდევაც ცდილობენ მართლაც დანერგონ გათანაბრება შრომის ანაზღაურებასა და მატერიალური დოვლათის განაწილებაში, გაუმართლებელ-აჩქარებას იჩენენ უფასო მომსახურებისა და შეღავათების გაფართოებაში. მაგრამ ამ ამხანაგებს მხედველობიდან ეპარებათ მთავარი რამ, სახელდობრ ის, რომ კომუნისტური განაწილება გულისხმობს საწარმოო ძალების განვითარების უმაღლეს დონეს და იმას, რომ შრომა პირველ საარსებო მოთხოვნილებად გადაიქცეს.

სანამ ასეთი მომენტი დადგებოდეს, ხაზს უსვამდა ვ. ი. ლენინი, საჭიროა საზოგადოებამ უმკაცრესი კონტროლი გაუწიოს შრომის ზომასა და მოხმარების ზომას.

ჩვენი პარტია მეცნიერული კომუნიზმის პარტიაა. იგი ახალ ამოცანებს აყენებს და წყვეტს არა საეგებიოდ, არამედ მატერიალური და სულიერი წინამძღვრების მომზადებისა და მომწიფების კვალობაზე, ამასთან გადაჭრით ილაშქრებს როგორც ერთი ადგილის „ტკბენის“ წინააღმდეგ, ისე „მეარცხენული“ წინ წასწრების წინააღმდეგ. მოთხოვნილების მიხედვით განაწილების ნაადრევად შემოღება გამოიწვევდა გათანაბრებას, შეანელებდა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ტემპებს, სახელს გაუტეხდა კომუნიზმის იდეას.

სოციალიზმის პირობებში მრეწველობის განვითარება, სოფლის მეურნეობის აღმავლობა თვითმიზანი კი არ არის, არამედ ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას ემსახურება.

ჩვენი მოწინააღმდეგენი ცდილობენ ამტკიცონ, თითქოს სკკპ ახალ პროგრამაში მთავარი როლი ენიჭებოდეს მრეწველობას, მრეწველობის განვითარებას თვით მრეწველობისათვის. არა, ვუპასუხებთ ჩვენ, ჩვენს პროგრამაში მოცემულია კომუნიზმის ყოველმხრივი მეცნიერული დასაბუთება, პირველ პლანზე დაყენებულია ეკონომიკის, განსაკუთრებით სამრეწველო წარმოების განვითარება, მაგრამ მთავარი როლი იქ სულ სხვა რამეს ეკუთვნის: ჩვენი პროგრამა აცხადებს ადამიანის პირველობას.

ჩვენი პარტიის კურსი ლენინური კურსია. პარტია კვლავაც სწრაფი ტემპებით განავითარებს მრეწველობას, შეუპოვრად იბრძოლებს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, სრულყოფს ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობას, ააშენებს ახალ ქალაქებს, ფაბრიკა-ქარხნებს, შახტებს, ბრძმედებს, ელექტროსადგურებს, სარწყავ სისტემებს, სკოლებს, საავადმყოფოებს, კლუბებსა და საცხოვრებელ სახლებს.

რისთვის? ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის.

ახალი პროგრამით შეიარაღებული პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი გამოჩენილი, ერთგული ლენინელის ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით მტკიცედ მიუძღვიან საბჭოთა ხალხს ლენინური კურსით კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

III.

ახალი ადამიანის აღზრდა

კომუნიზმის მშენებლობა რთული პროცესია. იგი ხომ ნიშნავს მთელი საზოგადოებრივი ორგანიზმის, მისი ეკონომიკის, ადამიანთა მთელი ურთიერთობის, ადამიანთა ყოფაცხოვრების, მსოფლმხედველობის გარდაქმნას. აი ამიტომ პარტია ასე დიდ ყურადღებას უთმობს კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

ავიღოთ, მაგალითად, სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარება კომუნისტურ საზოგადოებრივ თვითმმართველობად. აქ მიღწეული წარმატებანი პირველ რიგში იმით აიხსნება, რომ პარტია მტკიცედ ასრულებს ლენინურ მითითებებს იმის შესახებ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივ განვითარებას, საზოგადოების საქმეთა მართვაში ყველა მოქალაქის ჩაბმას.

თვითეული საბჭოთა ადამიანი საზოგადოების საქმეთა მართვის აქტიური მონაწილე უნდა გახდეს! — აი ჩვენი ლოზუნგი, ჩვენი ამოცანა.

სად სწავლობენ ადამიანები საზოგადოების მართვას? არის თუ არა ისეთი უნივერსიტეტი, ისეთი სკოლა, სადაც ადამიანს უნერგავენ საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური მუშაობის ჩვევებს?

დიახ, არის ასეთი სკოლა. ეს არის, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი დიადი პარტია; ეს არის საბჭოები; ეს არის პროფკავშირები, კომკავშირი, ყველა ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზაცია. სახელმწიფოს მართვას ვერ ისწავლი, თუ აქტიური მონაწილეობა არ მიიღე სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაში, როგორც წვეთებისაგან იქმნება ზღვები და ოკეანეები, ისე თვითეული ადამიანის ყოველდღიური, ხშირად ნაკლებად შესამჩნევი მუშაობისაგან იქმნება ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზმის ცხოვრება და საქმიანობა, მისი მართვა.

შეიძლება ითქვას, მსოფლიოს კომუნისტური გარდაქმნის ყველაზე ძნელ და პასუხსაგებ ამოცანას ახალი ადამიანის აღზრდა შეადგენს.

ვ. ი. ლენინს არაერთგზის აღუნიშნავს ხაზგასმით ამ ამოცანის მთელი სირთულე. კომუნიზმი, ამბობდა იგი, უნდა ვაშენოთ არა „განსაკუთრებულ სათბურებში გამოზრდილი განსაკუთრებით კეთილი ადამიანებისაგან, არამედ „ადამიანთა მასობრივი მასალისაგან, რომელიც გაფუჭებულია საუკუნეებისა და ათასეული წლების მონობით, ბატონყმობით, კაპიტალიზმით...“ (თხზ., ტ. 28, გვ. 485).

ვ. ი. ლენინს მტკიცედ სწამდა, რომ ასეთი ამოცანის გადაწყვეტა შეუძლია ახალ საზოგადოებრივ წყობილებას.

ახალი წყობილება ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ რამდენიმე ათეული წელია არსებობს. მაგრამ საბჭოთა ქვეყანაში უკვე გაიზარდა, აღიმართა ახალი წყობის ადამიანი, ცხოვრების კომუნისტური გარდაქმნის კეთილშობილური იდეებით ფრთაშესხმული ადამიანი, რომელიც დედამიწის ყველა კუთხიდან ჩანს. საბჭოთა ადამიანებმა საბრძოლო გმირობითა და გმირული შრომით, გაბედულებითა და ჰუმანიზმით მთელი მსოფლიოს ხალხთა პატივისცემა და სიყვარული მოიხვეჭეს. საბჭოთა ადამიანების, ჩვენი შესანიშნავი - ახალგაზრდობის მაღალი იდეურობა შურს იწვევს კაპიტალიზმის იდეოლოგებში. მათ აშინებთ საბჭოთა ხალხის პოლიტიკური და კულტურული ზრდა, მისი ერთგულება კომუნიზმისადმი.

ახალი ადამიანის — დიადი იდეალებისა და მაღალი მორალური პრინციპების ადამიანის აღზრდა ჩვენი პარტიის ერთ-ერთი მთავარი მიღწევაა.

XXII ყრილობაზე ახალ პროგრამაში ჩვენმა პარტიამ თვითეული პარტიული ორგანიზაციის, მთელი საზოგადოებრიობის ყურადღებისა და საქმიანობის ცენტრში დააყენა კომუნისტური აღზრდის საკითხები. საჭიროა გავაქტიუროთ, გავაძლიეროთ მასებზე პარტიის იდეური გავლენის ყველა საშუალების ქმედითობა. საბჭოთა ადამიანები ემზადებიან დიდი დღესასწაულივით აღნიშნონ ლენინური „პრავდის“ — მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში პარტიის ერთგული თანაშემწის ორმოცდამეათე წლისთავი.

ახალი ადამიანის აღზრდა — ეს არის ბრძოლა, ნწვავე და შეურიგებელი ბრძოლა ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ, მტრული ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამხრწნელი გავლენის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის საარსებო ინტერესები მოითხოვს, რომ მშრომელთა კოლექტივების პოლიტიკურ-მორალური მდგომარეობისათვის ისევე ვზრუნავდეთ, როგორც საწარმოო გეგმების შესრულებისათვის, რომ „მორალური წუნის“ შემთხვევებს ისევე მწვავედ ვგმობდეთ, როგორც საწარმოო წუნს.

არ შეიძლება უგულებელვყოთ ის გარემოება, რომ მორალურ-იდეოლოგიური ზარალი ხშირად უფრო ძვირი უჯდება საზოგადოებას, ვიდრე საწარმოო ზარალი.

გაიხსენეთ, რა შეუდრეკელი და მკაცრი ხდებოდა ვლადიმერ ილიას-ძე, როცა საქმე ეხებოდა ბრძოლას ძველი სამყაროს ისეთი მახინჯი გადმონაშთების წინააღმდეგ, როგორიც არის სპეკულაცია, მექრთამეობა, ხულიგნობა, ქურდობა, მომხვეჭელობა, ბიუროკრატიზმი! ჩვენი პარტიის შეურიგებელი დამოკიდებულება ყველაფრისადმი, რაც წამლავს საბჭოთა ადამიანების ცხოვრებას, მისი მტკიცე განზრახვა ბოლო მოუღოს წარსულის საზიზღარ გადმონაშთებს ახალი ძალით გაისმა ნ. ს. ხრუშჩოვის შესანიშნავ სიტყვაში სრულიად საკავშირო ალკკ XIV ყრილობაზე, რომელიც გამსჭვალულია უდიდესი სიყვარულით საბჭოთა ახალგაზრდობისადმი, ლენინური ზრუნვით მისი აღზრდისათვის. რა ძნელიც უნდა იყოს ახალი ადამიანის აღზრდის ამოცანები, — მათ წარმატებით წყვეტენ ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა.

ვ. ი. ლენინმა პარტიას დაუტოვა ანდერძი: „დავძლიოთ კაპიტალისტების მთელი წინააღმდეგობა, არა მარტო სამხედრო და პოლიტიკური, არამედ იდეურიც, ყველაზე ღრმა და ყველაზე მძლავრი“ (თხზ., ტ. 31, გვ. 345).

ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლენინის ანდერძი ხორციელდება და აუცილებლად განხორციელდება!

IV.

ისტორია ლენინის მიხედვით ვითარდება

ამხანაგებო! თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა ჩამოაყალიბა უდიდესი მეცნიერული და რევოლუციური გაბედულების დასკვნა — დასკვნა იმის შესახებ, რომ დადგა მსოფლიო ისტორიის ახალი ხანა — კაპიტალიზმის დაღუპვისა და მთელ მსოფლიოში კომუნიზმის გამარჯვების ეპოქა.

გავიხსენოთ თუნდაც მოკლედ, როგორი იყო მსოფლიო იმ დროს.

ორი კონტინენტის — ევროპისა და აზიის ფართო სივრცეზე ჩამოწოლილი იყო რომანოვთა იმპერიის ორთავიანი არწივის შავბნელი ჩრდილი. ცარიზმი მიაჩნდათ რეაქციის საამედო ბურჯად, მან ის იყო ჩაახშო 1905 წლის რევოლუცია. მეორე მტაცებელი — კაიზერის გერმანიის ერთთავიანი არწივი საბრძოლველად იწვევდა თავის იმპერიალისტ მეტოქეებს, რომლებმაც ხელთ იგდეს კოლონიური ნადავლის ყველაზე გემრიელი ნაჭრები. ავსტრია-უნგრეთის ჰაბსბურგების შეკოწიწებულმა იმპერიამ გათელა ჩეხები, სლოვაკები, უნგრელები, სამხრეთი სლავები. ლონდონის სიტის საქმოსნები ტრაბახობდნენ, ბრიტანეთის გვირგვინის სამფლობელოებში მზე არასოდეს არ ჩადისო, ფრანგი ბანკირები კუპონებს კრეჭდნენ, ექსპლოატაციას უწევდნენ რა უდიდეს სამფლობელოებს აფრიკასა და აზიაში. შორეულ აღმოსავლეთში დაპყრობებს ესწრაფვოდა იმპერიალისტური იაპონია. ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებმაც უკვე მოასწრეს XIX საუკუნის დასასრულს გაეჩაღებინათ იმპერიალიზმის ეპოქის პირველი ომი, ხარბად აგროვებდნენ სიმდიდრეს, ადგენდნენ მსოფლიოში გაბატონებული პოზიციების ხელში ჩაგდების შორს გამიზნულ გეგმებს.

ამის შედეგად ჩვენი პლანეტის მოსახლეობის ორ მესამედზე მეტი იმყოფებოდა კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში, განიცდიდა შიმშილსა და სიღატაკეს, იღუპებოდა დამმონებელთათვის აუტანელი შრომით. იმპერიალისტები ძარცვავდნენ და ტანჯავდნენ დიდი ჩინეთის ხალხს. ლათინური ამერიკის ქვეყნებში ბატონობდნენ ჩრდილოეთ ამერიკისა და ინგლისის მონოპოლიები.

თითქოს არაფერი არ ემუქრებოდა იმპერიალიზმის ძლიერებას. იგი ზენიტში იყო, განუყოფლად ბატონობდა დედამიწაზე, თამ-

(დასასრული მე-3 გვერდზე)

კომუნისტი
მე-2 გვერდი, სამშაბათი,
24 აპრილი, 1962 წ.

ლენინური კურსით კომუნიზმის გამარჯვებისაკენ

(დასასრული)

შობდა ასეულ მილიონობით ადამიანის ბედით.

რა გამჭრიახობა, მუშათა კლასის ძალის რა რწმენა უნდა ჰქონოდა, რომ ასეთ პირობებში არა მარტო დაენახა იმპერიალიზმის აღსასრულის ახლო დასაწყისი, არამედ განესაზღვრა კიდევაც მსოფლიო ისტორიის მომავალი ეპოქის უმნიშვნელოვანესი ნიშნები! განვლილ ათწლეულებში მსოფლიო შეიცვალა მეტად, ვიდრე წინა მრავალი ასი წლის განმავლობაში. ასრულდა და სრულდება ილიჩის ყველაზე გაბედული განჭვრეტანი. ისტორია ვითარდება ისე, როგორც მარქსი და ლენინი წინასწარმეტყველებდნენ.

მძლავრი რევოლუციური ძალების დარტყმებით უმაგალითოდ შეიცვალა პლანეტის სოციალური სახე.

მსოფლიოს რუკაზე გაქრა რუსეთის იმპერია. მის ადგილას შეიქმნა და აყვავდა მშრომელთა მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო. ხუხულასავით დაიშალა ავსტრია-უნგრეთის მონარქია. ბევრი ხალხი, რომლებიც ოდესღაც მის შემადგენლობაში შედიოდნენ, წარმატებით აშენებს სოციალიზმს. სოციალისტური განვითარების გზას დაადგა და მამაცურად იცავს მშვიდობის ინტერესებს ევროპის ცენტრში გერმანელი ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი. სოციალიზმს აშენებს დიდი ჩინელი ხალხი. თავიანთი სოციალისტური სახელმწიფოები შექმნეს მონღოლმა, ვიეტნამელმა, კორეელმა ხალხებმა.

იზრდება და ფართოვდება ხალხთა რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ინდოეთი, ინდონეზია, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, ერაყი, განა, გვინეა, მალი და აზიისა და აფრიკის ათობით სხვა ქვეყანა თვითმყოფი და დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგნენ.

ალჟირელი ხალხის გამარჯვებით არსებითად წყდება საფრანგეთის კოლონიური იმპერიის არსებობა. და არავის არ ეეჭვება, რომ უახლოეს მომავალში მის ბედს გაიზიარებს აგრეთვე ბრიტანეთის კოლონიური იმპერია ანუ, უფრო სწორად რომ ითქვას, ის, ოაც ბრიტანეთის იმპერიისაგან დარჩა. თავისი ზენიტი განვლო ამერიკის იმპერიალიზმმა.

თავისუფლების, დემოკრატიისა და სოციალიზმის გზა, ლენინის გენიით გასხივოსნებული, მსოფლიო ისტორიის თავადი გზა გახდა. თანამედროვე ეპოქის ცენტრში იმყოფება არა ბურჟუაზია, არამედ საერთაშორისო მუშათა კლასი, მისი მთავარი ქმნილება — მსოფლიო სოციალისტური სისტემა.

თუ ვინმეს კიდევ ესაჭიროება ლენინიზმის დიადი სასიცოცხლო ძალის დამამტკიცებელი საბუთები, შეხედოს ცვლილებებს, რომლებიც მსოფლიოში მოხდა 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ. სწორედ ეს არის სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია მოქმედებაში.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, რომელიც იმპერიალიზმს უპირისპირდება, განუხრელად მტკიცდება, მჭიდროდ ირაზმება, სულ უფრო აქტიურ გავლენას ახდენს საერთაშორისო მოვლენათა მსვლელობასა და მედეგებზე. მსოფლიო სოციალისტური სისტემის ფარგლებში ჩამოყალიბდა ახალი ტიპის საერთაშორისო ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ძმური მეგობრობისა და ურთიერთდახმარების პრინციპები.

ვ. ი. ლენინმა გამოავლინა და მეცნიერულად დაასაბუთა, რომ კანონზომიერია ღრმა შინაგანი კავშირი სოციალიზმისათვის მუშათა კლასის ბრძოლასა და ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას შორის. „სოციალისტური რევოლუცია, — გვასწავლიდა იგი, — არ იქნება მარტოოდენ და უმთავრესად რევოლუციური პროლეტარების ბრძოლა თვითეულ ქვეყანაში თავისი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, — არა, იგი იქნება იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრული ყველა კოლონიისა და ქვეყნის, ყველა დამოკიდებული ქვეყნის ბრძოლა საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ“ (თხზ., ტ. 30, გვ. 175-176).

რა ბრწყინვალედ დასტურდება ლენინური იდეები ჩვენს დროში, როცა საბოლოოდ ინგრევა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა!

უკანასკნელ ათწლეულთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გაკვეთილი ის არის, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების ძალები მით უფრო წარმატებით მოქმედებენ, რაც უფრო მტკიცედ და ფართოდ ეყრდნობიან ისინი ძლევამოსილი სოციალიზმის ძალებს. რასაკვირველია, შემთხვევითი როდია ის ფაქტი, რომ ეროვნულ - განმათავისუფლებელ რევოლუციებს ასეთი გაქანება მიეცა და ასეთი წარმატება აქვს სწორედ იმ პერიოდში, როცა სოციალიზმი მსოფლიო განვითარების მთავარი ძალა გახდა.

იმპერიალიზმის იდეოლოგები ცდილობენ ახალგაზრდა სუვერენულ სახელმწიფოებთან სოციალისტური ქვეყნების მეგობრობა „კომუნისტურ ხრიკებად“ დასახონ.

რა შეიძლება ითქვას ამის თაობაზე?

საქმე აქ, რა თქმა უნდა, „კომუნისტური ხრიკები“ როდია. მსოფლიოში შეიქმნა, ფართოვდება და მტკიცდება ხალხთა დიადი ანტიიმპერიალისტური კოალიცია. ამ კოალიციის თავისებურება ის არის, რომ მას არა აქვს ფორმალურ-იურიდიული ხასიათი, რეგისტრირებული არ არის არც ერთ ნოტარიუსთან, მაგრამ სამაგიეროდ განმტკიცებულია ღრმა შინაგანი ერთობით, რომელსაც საფუძვლად უდევს მისწრაფება — იხსნას კაცობრიობა იმპერიალიზმის სამარცხვინო და დანაშაულებრივი სისტემისაგან.

სულ რაღაც მეოთხედი საუკუნის წინათ იმპერიალიზმისათვის ძნელი არ იყო აღეკვეთა არა მარტო ხალხის ყოველი ცდა — მოეშორებინა კოლონიური უღელი, არამედ თვით ფიქრიც კი ასეთი განთავისუფლების შესახებ.

ახლა სულ სხვა ვითარებაა. იმპერიალისტურ მონოპოლიებს აღარ ძალუძთ შეაფერხონ ხალხების წინსვლა ეროვნული განთავისუფლებისაკენ, სოციალიზმისაკენ. ცეცხლს ქაღალდში ვერ შეახვევო, — ამბობს ხალხი. მთელი ახლანდელი მსოფლიო სიტუაციის ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშანი და თავისებურებანი გამოიხატა მოკლე, სულ ოთხი ასოსაგან შემდგარი სიტყვით. ეს სიტყვაა კუბა; ამერიკის პირველი თავისუფალი ტერიტორია, ქვეყანა, რომელიც სოციალიზმის მშენებლობის გზას დაადგა. ყველაზე მძლავრი იმპერიალისტური სახელმწიფო იძულებული გახდა უკან დაეხია თავისუფლებისათვის საბრძოლველად დარაზმული პატარა ხალხის წინაშე. ასეთია ჩვენი ეპოქის ნიშანი!

განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი გაქანება არყევს იმპერიალიზმის ბურჯს, აჩქარებს მის აღსასრულს.

ერთ დროს ხატოვნად ამბობდნენ, რომ თუ იმპერიალიზმს თავი ევროპაში აქვს, მუცლით აზიისა და აფრიკის ნოყიერ მინდვრებში წევსო. ახლა იმპერიალიზმს მოსვენება არა აქვს არც აზიაში, არც აფრიკაში, არც მსოფლიოს რომელიმე სხვა ნაწილში. დადგა ისეთი ისტორიული მომენტი, როცა იმპერიალიზმი ვეღარ გავსებს თავის გაუმაძღარ მუცელს სუსტად განვითარებული ქვეყნების ხალხთა ექსპლოატაციით. ხალხებს არა სურთ იყონ ისტორიის უბრალო ობიექტები, მათ სურთ შეგნებულად ქმნიდნენ ისტორიას, საკუთარ ხელში აიღონ თავიანთი ბედი.

ჩვენი პარტია წმიდად იცავს ლენინის ანდერძს:

„ჩვენ ყოველთვის მომხრენი ვიყავით, ვართ და ვიქნებით მოწინავე ქვეყნების შეგნებული მუშების უაღრესად მჭიდრო დაახლოებისა და შეერთებისა **ყველა** ჩაგრული ქვეყნის მუშებსა, გლეხებსა და მოხებთან. ჩვენ ყოველთვის ვურჩევდით და მომავალშიაც ყოველთვის ვურჩევთ ყველა ჩაგრული ქვეყნის, და მათ შორის კოლონიების, ყველა ჩაგრულ კლასს, **კი არ** გამოგვეყოს, არამედ რაც შეიძლება მჭიდროდ დაგვიახლოვდნენ და შეგვიერთდნენ“ (თხზ., ტ. 23, გვ. 77). ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლას სათავეში უდგანან მარქსისტულ-ლენინური პარტიები.

მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა ახლა გახდა ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ძალა, რომელიც გარდაქმნის და განაახლებს მსოფლიოს. ყველა ქვეყნის კომუნისტთა ორმოცმილიონნიანი არმიის წარმატებათა ძირითადი წყაროა ლენინური სტრატეგია და ტაქტიკა, რიგების ლენინური ერთიანობა, ლენინური კავშირი ხალხის მასებთან. მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის თავიანთი მამაცური ბრძოლით, რომელიც კაპიტალის ბევრ ქვეყანაში დაკავშირებულია სასტიკ რეპრესიებთან მმართველი წრეების მხრივ, კომუნისტებმა მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდი პატივისცემა მოიხვეჭეს.

მსოფლიო სოციალიზმის ძლიერების ზრდა, იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლა, ყველა მისი წინააღმდეგობის გამწვავება კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის გაღრმავების გადამწყვეტი ფაქტორებია. კაპიტალიზმს აქვს წარსული, მაგრამ არა აქვს მომავალი. მომავალი კომუნიზმს ეკუთვნის.

კრიზისის პროცესი მოედო ბურჟუაზიული საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს: ეკონომიკას, პოლიტიკას, იდეოლოგიას.

კაპიტალიზმის გადარჩენის მრავალი პროექტი, რომლებსაც, როგორც წესი, დიდი ამბით აცხადებენ და ახალ სიტყვად ასაღებენ, სინამდვილეში მხოლოდ კვლავ და კვლავ ააშკარავებს კაპიტალიზმის ისტორიულ განწირულობას. ავიღოთ, მაგალითად, ამ უკანასკნელი ხნის მოდური გეგმები ევროპის ეგრეთწოდებული „ინტეგრაციისა“ — „საერთო ბაზრის“, „თავისუფალი ვაჭრობის ზონების“ და სხვა საერთაშორისო სახელმწიფო მონოპოლისტურ გაერთიანებათა შექმნა.

ნამდვილად რა არის ეს კავშირები და გაერთიანებანი?

არსებითად, საქმე ეხება მსოფლიო კაპიტალისტური ბაზრის ხელახალი განაწილების ახალ ფორმებს, ახალ აგრესიულ ანტიხალხურ კავშირებს, რომლებიც მიმართულია კაპიტალის ქვეყნების მშრომელთა საარსებო ინტერესების წინააღმდეგ, სოციალისტური ბანაკისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. „ინტეგრირებული ევროპა“ მხოლოდ ახალი ხლართია, უაღრესად მწვავე ანტაგონიზმებისა: თვით მის მონაწილეთა შორის, ევროპის სახელმწიფოებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, მონოპოლისტურ ზედაფენასა და ხალხის ფართო მასებს შორის, იმპერიალისტურ მონოპოლიებსა და იმ ქვეყნებს შორის, რომლებმაც კოლონიური უღელი მოიშორეს.

ახლა უფრო ყურადღებით დაუკვირდით, რა მოსდის ბურჟუაზიულ დემოკრატიას?

თანამედროვე კაპიტალიზმს ხომ საკუთარი კონსტიტუციებისაც კი ეშინია. ოდესღაც კაპიტალიზმის იდეოლოგებს ცამდე აჰყავდათ „თავისუფლებანი“, რომლებითაც თითქოს ასაჩუქრებს ბურჟუაზიული დემოკრატია მშრომელებს. რა თავისუფლებებით შეუძლიათ იტრაბახონ მათ ახლა? იქნებ ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის სამარცხვინო დევნის ფაქტით?!

ამას წინათ ამერიკელ სენატორს მუნდტს დაებადა აზრი მოეხდინა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ პრეზიდენტთა იმ გიგანტური ქვის ბიუსტების რადიოფიცირება, რომლებიც გამოკვეთილია სამხრეთ დაკოტის კლდოვან მთებში, რათა ქანდაკებებს კვლავ გაემეორებინათ ტურისტების სასიხარულოდ და „ამერიკული დემოკრატიის“ სასარგებლოდ მათ მიერ ოდესღაც წარმოთქმული სიტყვები დემოკრატიის შესახებ. სენატორის აზრით, ასეთ ოპერაციას შეეძლო თავისი როლი შეესრულებინა ამერიკული ცხოვრების წესის რეკლამაში.

მაგრამ სენატორის ნოვატორობა ჯეროვნად არ დააფასეს. პირიქით, მას ბრმა და ფანტაზიორი უწოდეს.

გაზეთმა „კრისჩენ საიენს მონიტორმა“ გულახდილად განმარტა, რომ ყოფილ პრეზიდენტთა მჭევრმეტყველური დუმილი შექმნილ ვითარებაში უმჯობესია. ამ პროექტის მიღების შემთხვევაში ქვის ქანდაკებანი ხომ დაიწყებენ ისეთი სიტყვების წარმოთქმას, რომლებისთვისაც თანამედროვე ამერიკაში „წითელის“ სახელი გაგვარდება. განა შეეძლო ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს მოეთმინათ, რომ, მაგალითად, ლინკოლნის ბიუსტი განუწყვეტლივ წარმოთქვამდეს ასეთ „მეამბოხურ“ სიტყვებს: „ფულის საქმოსნები ეცდებიან განამტკიცონ თავიანთი ძალაუფლება ხალხის საზიანოდ, სანამ მთელი სიმდიდრე თავს არ მოიყრის უმცირესობის ხელში და რესპუბლიკას ძირი არ გამოეთხრება“.

რა თქმა უნდა, ვერ მოითმენდნენ.

საფრანგეთის მეფეს ლუი XV-ს ეკუთვნის ცნობილი თქმა „ჩემს შემდეგ თუნდაც წარღვნა მოსულაო“. თავისი მომავალით შეშფოთებული კაპიტალისტთა კლასი ვერ დაიმშვიდებს თავს თუნდაც ასეთი სიტყვებით, რადგან მისთვის „წარღვნა“ უკვე დადგა.

მართალია, იმპერიალიზმის თანამედროვე დამცველები ცდილობენ დაარწმუნონ ადამიანები, და ალბათ თავიანთი თავიც, კაპიტალიზმი ჯერ კიდევ „გვიჩვენებს თავის პოტენციებსო“. მათ უყვართ იმ დროების გახსენება, როცა ბურჟუაზია ახალგაზრდა, აღმავალი კლასი იყო. მაგრამ თუ ვილაპარაკებთ ისტორიულ ანალოგიებზე, უფრო გამართლებულია კაპიტალიზმის განვითარების ახლანდელი სტადიის შედარება, ვთქვათ, მონათმფლობელური საზოგადოების უკანასკნელ ფაზებთან. როგორც მონების აჯანყებანი, მონათმფლობელობის სისტემის გახრწნა გახდა რომის იმპერიის დაღუპვის მაუწყებელი, ისე სოციალიზმის მსოფლიო სისტემის მძლავრი აყვავება, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლების ზრდა, კოლონიური სისტემის კრახი ნათლად გვიჩვენებს, რომ იმპერიალიზმი გარდუვალი დაღუპვისაკენ მიდის.

არ არის ისეთი საშუალებანი, რომლებსაც შეეძლოთ იხსნან კაპიტალიზმი. ისინი არ არიან ბუნებაში და მათ ვერ გამოიგონებ. ეს ავადმყოფობა კი არ არის, რომელიც შეიძლება განიკურნოს, არამედ კვდომაა. ექიმებს აქვთ ტერმინი „ჰიპოკრატეს სახე“. ასე უწოდებენ მომაკვდავის სახეს, რომლის ნიშნები ეჩვენებს სპეციალისტს, რომ სიკვდილი გარდუვალია, რომ მედიცინა, როგორც იტყვიან, უძლურია.

ჩვენ ახლა ვხედავთ კაპიტალიზმის „ჰიპოკრატეს სახეს“.

შიში ხვალინდელი დღის წინაშე ანტიკომუნისტური ლაშქრობისათვის აერთიანებს მთელი მსოფლიოს რეაქციონერებს — მოფაშისტო ელემენტებსა და მოლიბერალო პოლიტიკანებს, ეკლესიის მსახურთა რეაქციულ ძალებსა და მემარჯვენე პროფკავშირთა ლიდერებს, მეტერნიხის ყველა თანამედროვე მემკვიდრესა და გიზოს ეპიგონებს.

იმპერიალიზმი კვლავ ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უბოროტესი და მეტად საშიში მტერია. მისი ბუნება, მისი ქცევა არ შეცვლილა. როგორც ყოველი კლასი, რომელიც ისტორიულ ასპარეზს ტოვებს, თანამედროვე იმპერიალისტური ბურჟუაზია უკანასკნელი რწმუნდება თავის საბედისწერო ბედში. იგი გააფთრებით ებღაუჭება ძალაუფლებას, შეუძლია ჩაიდინოს ყველაზე საშინელი პროვოკაციები, დაიწყოს ატომურ-წყალბადის ომიც კი. მაგრამ მტაცებელი, თანაც მრავალგზის პირშიჩალაგამოვლებული, ყოველთვის უკან იხევს, როცა თავის წინაშე დიდ ძალას ხედავს. ახლა ასეთი ძალა არის. მას შეუძლია გონს მოიყვანოს ყოველი იმპერიალისტი მტაცებელი.

ეს ძალა არის დიდი საბჭოთა კავშირი, მთელი მსოფლიო სოციალისტური სისტემა, საერთაშორისო მუშათა მოძრაობა, ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა.

საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის შემდეგ მშვიდობისათვის ბრძოლის პოლიტიკა პირველად გახდა სახელმწიფო პოლიტიკა. წამოაყენა რა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი, ვ. ი. ლენინმა გენიალურად წინასწარ განსაზღვრა სოციალისტური საგარეო პოლიტიკის თვით არსი მთელი ისტორიული ეპოქისათვის. სწორედ ჩვენი სახელმწიფოს, ყველა სოციალისტური ქვეყნის მშვიდობისმოყვარული ლენინური პოლიტიკის მეოხებით კაცობრიობამ დღემდე თავიდან აიცილა მსოფლიო თერმოატომური კატასტროფა.

თანამედროვე კაცობრიობის შეგნებაში ცნებები მშვიდობა და სოციალიზმი მტკიცედ არის შერწყმული. და, პირიქით, ცნებები კაპიტალიზმი და ომი უკვე დიდი ხანია სინონიმებად იქცა.

ორი ხაზი მსოფლიო პოლიტიკაში განსაკუთრებით მკაფიოდ გამოხატულია საწინააღმდეგო მიდგომით საერთაშორისო ურთიერთობის ცენტრალური პრობლემისადმი — განიარაღების პრობლემისადმი. თვითეულ პატიოსან ადამიანს, რომელიც იცნობს საქმის ნამდვილ ვითარებას, თვალში ეცემა დასავლეთის სახელმწიფოთა ორპირული პოზიცია, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში კი არ ცდილობენ საკითხის არსებითად გადაჭრას, არამედ ეძებენ ხალხთა მოტყუების უფრო მზაკვრულ საშუალებებს.

ნ. ს. ხრუშჩოვის პირით ჩვენი პარტია აფრთხილებს კაცობრიობას იმ საშიშროების შესახებ, რომელსაც შეიცავს დასავლეთელი დიპლომატების ასეთი დემაგოგია, მოუწოდებს ხალხებს დიდი სიფხიზლისაკენ. სანამ იმპერიალისტები განაგრძობენ საომარ მზადებას, სანამ საფრთხე ემუქრება საყოველთაო მშვიდობას, საბჭოთა კავშირი და სოციალიზმის სხვა ქვეყნები იღებენ და მიიღებენ ღონისძიებებს შეიარაღებული ძალების შემდგომი სრულყოფისათვის, თავიანთი უშიშროების განმტკიცებისათვის.

კომუნიზმის იდეების გამარჯვება, მაშასადამე მშვიდობის, ხალხთა მეგობრობის საქმის გამარჯვება გარდუვალია. კაპიტალიზმი დატოვებს ისტორიულ ასპარეზს, როგორც ტოვებდა მანამდე არსებული ყველა ექსპლოატატორული ფორმაცია. მაგრამ ხალხებს სურთ, რომ დაღუპვისას იმპერიალიზმმა რაც შეიძლება ნაკლები ტანჯვა მიაყენოს კაცობრიობას, რომ მის შემდეგ რაც შეიძლება ნაკლები ნანგრევები დარჩეს. ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობა შეესაბამება მშრომელი კაცობრიობის ძირეულ ინტერესებს, უზრუნველყოფს ყველაზე ხელსაყრელ შესაძლებლობებს საზოგადოებრივი პროგრესის მისაღწევად, კომუნიზმისა და სოციალიზმისათვის საბრძოლველად. კოლონიალიზმის ლიკვიდაციისა და ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობის სრული გამარჯვებისათვის.

ჩვენს დროში კომუნიზმი მოწინავე კაცობრიობის ფიქრთა ნამდვილი მფლობელი გახდა. მისი იდეები აერთიანებენ მილიონობით ადამიანს, რომელთათვისაც აუტანელია იმპერიალისტური სიცრუე და რომელთაც მოსწონთ კომუნიზმის სიმართლე.

„განა შეიძლება ვუსაყვედუროთ მორწმუნე ქრისტიანს, — განაცხადა ამას წინათ ფრანგმა აბატმა ბულიემ, — ის, რომ იგი პატივს სცემს კომუნისტებს, რომლებიც [illegible] და რომლებიც [illegible] ლენინის [illegible] ადამიანს [illegible] დიდებული შემოქმედებითი მუშაობით? განა შეიძლება უარი ვთქვათ მათთან თანამშრომლობაზე, თუ ისინი ცდილობენ იხსნან მსოფლიო, ბოლო მოუღონ ცივ ომს, თუ ისინი მოითხოვენ განიარაღებას და მოუწოდებენ სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისაკენ? თუ ყოველივე ეს „პროკომუნიზმია“, მე სამუდამოდ „პროკომუნისტი“ დავრჩები“.

ასე ფიქრობს ყველა პროგრესული ადამიანი.

V.

შემოქმედებითი ლენინიზმის ძალა

ამხანაგებო! მარქსის, ენგელსის, ლენინის დიადი მოძღვრება ყოველთვის ახალგაზრდა, უაღრესად სიცოცხლისუნარიანი, უაღრესად ნაყოფიერი მოძღვრებაა. მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი ძალის ძირითადი წყაროა მისი დიდი კავშირი ცხოვრებასთან.

კომუნისტური მოძღვრების ყველაზე დამახასიათებელმა ნიშნებმა თავისი ცოცხალი განსახიერება ჰპოვა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის თეორიულ მოღვაწეობაში. ვ. ი. ლენინის თვითეულ სიტყვაში იგრძნობა ცხოვრების მხურვალე სუნთქვა. ნოვატორობა ედო საფუძვლად მთელ მის თეორიულ და პრაქტიკულ მოღვაწეობას.

შემოქმედებითი, ლენინური მიდგომა რევოლუციური თეორიისადმი დამახასიათებელია ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობისათვის.

პარტიას წარმატებით რომ არ განვითარებინა მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება საზოგადოების შესახებ, შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი, ჩვენ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავადგამდით წინ კომუნიზმის მშენებლობაში.

საბჭოთა თანამგზავრებმა და კოსმოსურმა ხომალდებმა დიდად აამაღლეს არა მარტო საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ავტორიტეტი, არამედ მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციური მეცნიერებისაც საზოგადოების შესახებ.

ყველას, ვისაც სურს გაიგოს შემოქმედებითი ლენინიზმის ძალა, გაიცნოს თანამედროვე საზოგადოებრივ-მეცნიერული აზრის უმაღლესი მიღწევა, ჩვენ ვეუბნებით: წაიკითხეთ და შეისწავლეთ ახალი პარტიული პროგრამა. მისი თვითეული აზრი, მისი მთელი შინაარსი — ეს არის ლენინიზმი მოქმედებაში, ჩვენი პარტიის დიდი თეორიული სიმწიფის, რევოლუციური თეორიის შემოქმედებითს განვითარებაში მისი ავანგარდული როლის დადასტურება.

ვ. ი. ლენინის უკვდავი დამსახურება ის არის, რომ მან მაღლა აღმართა შემოქმედებითი მარქსიზმის სიწმინდისათვის, ოპორტუნიზმის ყველა ფორმისა და გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლის დროშა. ასრულებს რა თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას საერთაშორისო მუშათა მოძრაობის წინაშე, ჩვენი პარტია ლენინის ანდერძის სულისკვეთებით აქტიურად იბრძვის როგორც რევიზიონიზმის წინააღმდეგ, ისევე დოგმატიზმის წინააღმდეგ, რა ფორმითაც უნდა ვლინდებოდნენ ისინი.

შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის დარაზმულობის იდეური საფუძველია.

მსოფლიოში არ არის ძალა, რომელსაც უნარი შესწევდეს გაუძლოს გაერთიანებული მუშათა კლასის შეტევას, რომელსაც მხარს უჭერენ მისი მოკავშირენი მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში. „დაქსაქსული მუშები არარაობაა. გაერთიანებული მუშები ყველაფერია“, — ამბობდა ვ. ი. ლენინი. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას თავის მოვალეობად მიაჩნია ყოველი ღონე იხმაროს იმისათვის, რომ შეაკავშიროს სოციალისტური ბანაკი, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშით, თავისი შთამაგონებელი მოწოდებით „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“.

მუშათა კლასის ერთიანობის განმტკიცება, საზოგადოების მთელი პროგრესული ძალების გაერთიანება მიმდინარეობს შეურიგებელ ბრძოლაში რეაქციული ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მისი პოლიტიკისა და იდეოლოგიის წინააღმდეგ.

იმპერიალისტური ბურჟუაზია გაფაციცებით ეძებს ახალ იდეებს. ამ უნაყოფო ნიადაგზე გულმოდგინედ შრომობენ თანამედროვე ბურჟუაზიული აზროვნების საუკეთესო წარმომადგენლები. და როცა დღეს ჩვენ სულ უფრო ხშირად გვესმის ჩვენი მეტოქეების თვითაღიარება იმის თაობაზე, რომ ბურჟუაზიამ ისტორიული გზების გზაჯვარედინებზე გაფანტა თავისი წინანდელი რევოლუციური იდეები და ვერ უპოვნია ახალი იდეები, აქ, როგორც იტყვიან, საკამათო არაფერია. ასეთი მდგომარეობის მთავარი მიზეზი ის კი არ არის, რომ იმპერიალისტი იდეოლოგები ბუნებით უნიჭონი არიან, არამედ ის, რომ ბურჟუაზიის მიზნები და პოლიტიკა პრინციპულად, გადაუჭრელად ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი პროგრესის ობიექტურ მსვლელობასა და მოთხოვნილებებს.

თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგია მოიცვა ღრმა კრიზისმა, რომლიდანაც გამოსავალი არ არის და არც შეიძლება არსებობდეს, იმიტომ რომ თავისი არსით იგი აშკარად კაცთმოძულეობის, რეაქციული იდეოლოგია გახდა.

მართალია, ზოგიერთი ბურჟუაზიული მოღვაწე, სახელმწიფოთა სათავეში მყოფიც კი, ფაქტების საწინააღმდეგოდ, ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ „დიდი ისტორიის მოძრაობა“ მიმდინარეობს თითქოს კაპიტალიზმისათვის ხელსაყრელი მიმართულებით და რომ მომავალი თითქმის გამარჯვებასაც კი უქადის „მსოფლიო ხასიათის ამერიკულ კონცეფციას“.

არა, მომავალი კომუნიზმს ეკუთვნის! ვინაიდან მხოლოდ იგი შეესაბამება ამჟამად შეგნებული ისტორიული შემოქმედების ასპარეზზე გამოსულ ხალხთა მასების ძირეულ ინტერესებს. საქმეც ის არის, რომ ნამდვილი დიდი ისტორია მხარდამხარ მიჰყვება ხალხთა მასებს. სწორედ ისინი და სხვა არავინ — ყველაზე უშუალო, კონკრეტული აზრით — ქმნიან ისტორიას.

მთელი კაცობრიობის სახელით „დიდ ისტორიას“ ამჟამად სამართლიანი მსჯავრი გამოაქვს დრომოჭმული კაპიტალიზმისათვის.

ამხანაგებო!

როცა ვ. ი. ლენინმა დაიწყო ჩვენი პარტიის შექმნა, ადამიანთა უდიდეს უმრავლესობას დედამიწის ზურგზე თვით სიტყვა „კომუნიზმიც“ კი არ გაეგონა. და მხოლოდ ყველაზე გამჭრიახ, ყველაზე მამაც, ყველაზე შორსმჭვრეტელ და დიდი ქკუის ადამიანებს მიაჩნდა, კომუნიზმი მსოფლიოს მომავლად. და ისინი მართალი აღმოჩდნენ. თავდაპირველად ათობით და ასობით, შემდეგ კი ათასობით და მილიონობით ადამიანს, კომუნიზმის იდეებით შთაგონებულს, სიცოცხლის დაუზოგავად მიჰქონდა და მიაქვს იერიში ძველ სამყაროზე.

ახლა კომუნიზმი გახდა უდიდესი ძალა, რეალური საზოგადოება, რომელიც დედამიწის უზარმაზარ სივრცეებზე იქმნება.

1919 წელს პარტიის VIII ყრილობაზე ვლადიმერ ილიას-ძე ლაპარაკობდა იმათ ბედნიერებაზე, ვინც ნახა გამარჯვება ოქტომბრის რევოლუციისა, რომელმაც დასაბამი მისცა კომუნიზმის განხორციელებას. ჩვენ წილად გვხვდა ბედნიერება ვიყოთ კომუნიზმის მშენებლები. მშრომელებმა იციან, რომ ჩვენი სამშობლოს კომუნისტური გარდაქმნის საქმე, რომელიც დიდმა ლენინმა დაიწყო, გაიმარჯვებს, ვინაიდან იგი კომუნისტთა ლენინური პარტიის საიმედო ხელშია.

ისტორიამ ჩვენამდე მოიტანა ვლადიმერ ილიას-ძის სიცოცხლის უკანასკნელ დღეთა მგრძნობიარე, ამაღელვებელი ეპიზოდი.

1923 წლის 2 ნოემბერს ავადმყოფ ილიჩს ეწვია გლუხოვოს მანუფაქტურის მუშათა დელეგაცია. მეგობრული, გულითადი საუბრის შემდეგ გამოთხოვების დრო დადგა. ყველა დელეგატმა გადაკოცნა ვ. ი. ლენინი. მასთან უკანასკნელი მივიდა ძველი მუშა კუზნეცოვი. რამდენიმე წუთის განმავლობაში რევოლუციის ბელადი და შთამომავლობით მუშა ეხვეოდნენ ერთმანეთს. მოხუცი კუზნეცოვი ცრემლმორეული იმეორებდა:

— მე მჭედელი მუშა ვარ, ვლადიმერ ილიას-ძევ, მჭედელი, ჩვენ გამოვჭედავთ ყოველივეს, რაც შენ დასახე.

დღეს საბჭოთა ადამიანებს, მთელ პროგრესულ კაცობრიობას უფლება აქვთ თქვენ, რომ ისინი ლენინური გეგმებით ჰედავენ და აუცილებლად გამოჭედავენ მშვენიერ კომუნისტურ მომავალს დედამიწის მშრომელებისათვის.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ლენინის პარტიას, საბჭოთა ხალხის მებრძოლ ავანგარდს, მამაც მებრძოლთა და ნოვატორთა პარტიას!

გაუმარჯოს ლენინიზმს — ჩვენი ეპოქის — კომუნიზმის გამარჯვების ეპოქის უძლეველ დროშას!

(ამხანაგ ლ. თ. ილიჩოვს მოხსენება არაერთგზის შეაწყვეტინეს ტაშით).

კომუნისტი

მე-3 გვერდი, სამშაბათი,
24 აპრილი, 1962 წ.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კპ საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმები

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს კპ საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმები, რომლებმაც განიხილეს ორგანიზაციული საკითხები.

საქართველოს კპ გორის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა ამხ. **რ. ბზიშვილი** გაათავისუფლა საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს კპ გორის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. **მ. ილარიშვილი.**

საქართველოს კპ ზუგდიდის რაიკომის პლენუმმა ამხ. **ა. ქვარცხავა** გაათავისუფლა რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს კპ ზუგდიდის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. **ო. ფაცაცია,** მეორე მდივნად — ამხ. **ვ. კვარაცხელია,** მდივნად — ამხ. **ნ. ჭითანავა.**

საქართველოს კპ საგარეჯოს რაიკომის პლენუმმა ამხ. **ვ. რევაზიშვილი** გაათავისუფლა რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს კპ საგარეჯოს რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. **ო. საბაშვილი,** მეორე მდივნად — ამხ. **მ. მეზვრიშვილი,** მდივნად — ამხ. **ა. გილაშვილი.**

საქართველოს კპ ლაგოდეხის რაიკომის პლენუმმა ამხ. **მ. ბრეგვაძე** გაათავისუფლა რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო

საქართველოს კპ ლაგოდეხის რაიკომის პირველ მდივნად პლ

დღეს სპორტის სასახლეში

პლასტიკურობა, გრაციოზულობა...

ჩვენში დიდი პოპულარობით სარგებლობს სპორტული ტანვარჯიში, იგი სპორტის ნამდვილად მასობრივ სახეობად გადაიქცა. მასობრივობის ბაზაზე წლითიწლობით იზრდება სპორტის ოსტატთა რიგები.

საერთაშორისო შეჯიბრებებში განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალებმა. ისინი ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ასპარეზობათა უცვლელი ჩემპიონები და ევროპის თასის მფლობელნი არიან.

ტანმოვარჯიშეთათვის უფლებულად დაძაბული ხანა დადგა. იგლოსში პრაღაში გაიხსნება მსოფლიოს XV პირველობა. ახლა ისინი აჯამებენ ჩემპიონატისათვის მოსამზადებლად თავიანთი ორი წლის მუშაობის შედეგებს, მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა მატჩებსა და ტურნირებში, ცდიან თავიანთ ძალებს გენერალური ბრძოლის წინ.

ამას წინათ დამთავრდა მთელი რიგი შეჯიბრებანი. „ვარშავის ტურნირში" მონაწილეობდნენ შვიდი ქვეყნის ტანმოვარჯიშე ქალები. გაიმარჯვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტანმოვარჯიშემ შტარკემ. სულ რამდენიმე მეასედი ქულით ჩამორჩა მას. მანინა (სსრ კავშირი). რუმინეთში საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალებმა ივანოვამ და პეტუხოვამ გაუსწრეს რუმინელ ტანმოვარჯიშეებს იოგანსა და პაცუს. მაღალი შედეგები აჩვენა ლიუხინამ რსფს რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მატჩში.

უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩინეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის უძლიერეს ტანმოვარჯიშე ქალთა ამხანაგური პირადი შეჯიბრება, რომელიც დღეს იხსნება თბილისის სპორტის სასახლეში, დიდ სპორტულ ინტერესს წარმოადგენს. ამ შეჯიბრას გადაუჭარბებლად შეიძლება ვუწოდოთ მსოფლიოს ოფიციალური პირველობა.

საერთაშორისო ტურნირში მონაწილეთა შორის არიან ევროპის 1959 წლის ჩემპიონი დვირზე გარჯიში ჩესლავსკა (ჩეხოსლოვაკია), ევროპის ჩემპიონი ბრჯენი ხტომაში შტარკე, ევროპის პირველობის პრიზიორი ფიოსტი (გდრ), XVII ოლიმპიური ასპარეზობის პრიზიორი იოგანი (რუმინეთი),

საბჭოთა კავშირიდან შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ: სსრ კავშირის 1961 წლის აბსოლუტური ჩემპიონი ლიუხინა, სოფიის უნივერსიადაში გამარჯვებული პეტუშინა, მოსკოვის ჩემპიონი პეტუხოვა, სპორტის დამსახურებული ოსტატი ივანოვა, სპორტულ საზოგადოება „დინამოს" ჩემპიონი ტიაფელოვა, საქართველოს სსრ არაერთგზის ჩემპიონი ნინოშვილი და სხვ.

უკანასკნელ წლებში ქალთა ტანვარჯიშის შინაარსი მნიშვნელოვნად შეიცვალა. ძალამ და სტატიკამ ადგილი დაუთმო მოქნილობას, პლასტიკურობას, გრაციოზულობას, მოძრაობათა ხაზების სილამაზეს და დინამიკურობას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტანვარჯიში თავისი განვითარების თანამედროვე ეტაპზე გასცდა სპორტის ფარგლებს და ხელოვნება გახდა. შეჯიბრება, რომელიც სპორტის სასახლეში გაიმართება, სილამაზის, გრაციის დღესასწაული იქნება.

ტ. დემიდენკო,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

მინვევა მიღებულია

კოსმოსური სივრცის კვლევის საერთაშორისო კომიტეტის მუშაობაში სსრ კავშირის კოსმონავტი მონაწილეობის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ პირველ მაისს ვაშინგტონში იხსნება კოსმოსური სივრცის კვლევის საერთაშორისო კომიტეტის სესია, კომიტეტის პრეზიდენტმა პროფესორმა ვან დ. ჰელსტმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას გამოუგზავნა დეპეშა, რომლითაც სთხოვს საბჭოთა კოსმონავტს მონაწილეობა მიიღოს კომიტეტის სესიის მუშაობაში.

მიწვევას დათანხმდა სსრ კავშირის კოსმონავტი-მფრინავი გ. ს. ტიტოვი, რომელიც ჯიუგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში აპრილის დამლევს.

(საკდესი).

ხუთი მსოფლიო რეკორდი ერთი გაფრენით

ხუთი მსოფლიო რეკორდი ერთი გაფრენით სარეისო ტურბოხარხნიანი თვითმფრინავით „ტუ-114" დაამყარა დღეს ეკიპაჟმა ცნობილი საბჭოთა გამომცდელი მფრინავის ივანე სუხომლინისა და სსრ კავშირის აეროფლოტის მძიმე თვითმფრინავების რაზმის მეთაურის პეტრე სოლდატოვის ხელმძღვანელობით. თვითმფრინავმა, რომელიც დილის 5 საათსა და 10 წუთზე მოსკოვის ვნუკოვოს აეროდრომიდან აფრინდა, ორჯერ გაიარა სამყუთხედი მოსკოვი-სვერდლოვსკი-სევასტოპოლი-მოსკოვი. თვითმფრინავში იყო 10 ტონა ტვირთი. წინასწარი მონაცემებით 14 საათზე ნაკლებ დროში თვითმფრინავმა გაიარა 10.036 კილომეტრი და 400 მეტრი, საშუალო სიჩქარით დაახლოებით 740 კილომეტრი საათში.

ეს შედეგები უნდა გახდეს მსოფლიო რეკორდები თვითმფრინავისათვის, რომელმაც იფრინა უტვირთოდ და ერთი, ორი, ხუთი და ათი ტონა ტვირთით. (საკდესი).

მინვევა მიღებულია

კოსმოსური სივრცის კვლევის საერთაშორისო კომიტეტის მუშაობაში სსრ კავშირის კოსმონავტი მონაწილეობის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ პირველ მაისს ვაშინგტონში იხსნება კოსმოსური სივრცის კვლევის საერთაშორისო კომიტეტის სესია, კომიტეტის პრეზიდენტმა პროფესორმა ვან დ. ჰელსტმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას გამოუგზავნა დეპეშა, რომლითაც სთხოვს საბჭოთა კოსმონავტს მონაწილეობა მიიღოს კომიტეტის სესიის მუშაობაში.

მიწვევას დათანხმდა სსრ კავშირის კოსმონავტი-მფრინავი გ. ს. ტიტოვი, რომელიც ჯიუგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში აპრილის დამლევს.

(საკდესი).

ლენინის დღეები საზღვარგარეთ

◊ **პარიზი,** (საკდესი). საფრანგეთის მუშათა კლასი აღნიშნავს ვ. ი. ლენინის სსოფლის დღეს.

პარიზში საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ინიციატივით გაიმართა საზეიმო სალამო, რომელიც მიეძღვნა მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის დაბადების 92 წლისთავს. საზეიმო კრების მონაწილეებმა მჭუხარე ტაში დაუკრეს, როცა დარბაზში შემოვიდნენ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივნის მოადგილის ვალდეკ როშეს მეთაურობით.

მოხსენება საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის, ყველა მშრომელის მასწავლებლისა და მეგობრის ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე გააკეთა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და პოლიტბიუროს წევრმა ეტიენ ფაჟონმა.

პრაღა, 21 აპრილი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა, საოლქო და საქალაქო კომიტეტებმა პრაღაში გამართეს ვ. ი. ლენინის დაბადების 92 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

პრეზიდიუმში იყვნენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები ი. დოლანსკი, ზ. ფირლინგერი, ი. გენდრიხი, ა. ნოვოტნი, ვ. შირიკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ა. დუბჩეკი, ვ. კოუცკი, ვ. სლავიკი და სხვები.

სხდომას ესწრებოდნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის წევრები, თვალსაჩინო საზოგადო და კულტურის მოღვაწეები, დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები. საპატიო სტუმართა შორის იყვნენ სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში მ. ვ. ზიმიანინი და სოციალისტური ქვეყნების სხვა დიპლომატიური წარმომადგენლები.

მოხსენება გააკეთა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. სლავიკმა.

„სიკვდილი სალანს!" —მოითხოვს პარიზი

პარიზი, 21 აპრილი. (საკდესი). ფაშისტი გენერალი სალანი, რომელიც დაპატიმრების შემდეგ ალჟირიდან საფრანგეთში ჩამოიყვანეს, მოათავსეს პარიზის საპყრობილეში „სანტეში", რომლის მიადგომებს იცავენ პოლიციისა და ჟანდარმერიის დიდი ძალები. საპყრობილეში მყოფმა ოას-ელებმა ამის გამო მოაწყეს მანიფესტაცია, ფანჯრებიდან გაჰყვიროდნენ „საფრანგეთის ალჟირი!", „აფეთქეთ სანტე!", „ძალაუფლება სალანს!". ფაშისტთა ჯგუფი, რომელიც საპყრობილესთან შეიკრიბა, შეეცადა მზარი დაეჭირა თავის თანამზრახველთათვის, რომლებიც დაპატიმრებული არიან, და გაიძახოდა „გაათავისუფლეთ ჟუო!" მაგრამ ეს ჯგუფი მალე გაფანტა პოლიციამ.

ამავე საპყრობილეში მყოფმა ალჟირელმა პატრიოტებმა ამ ფაშისტურ გამოხდომას უპასუხეს კონტრმანიფესტაციით. ისინი ხმამაღლა ერთსულოვნად გაიძახოდნენ ლოზუნგს: „ალჟირის ალჟირი!"

„სიკვდილი სალანს!", „სალანი—სამარცხვინო ბოძზე!" — ასე გამოეხმაურნენ უბრალო პარიზელები დედაქალაქის ქუჩებში, როცა ფაშისტ მკვლელთა მეთაური აეროდრომიდან საპყრობილეში მიჰყავდათ.

გუშინ საფრანგეთის მთავრობამ გამოაქვეყნა მოკლე კომუნიკე, რომელშიც იუწყება სალანისა და მისი ყოფილი ორდინარეცის კაპიტან ფერანდის დაპატიმრებას, აგრეთვე იმას, რომ ისინი მთავაზებული არიან „პარიზის რაიონის ერთ-ერთ საპყრობილეში".

მდგომარეობა არგენტინაში

ნიუ-იორკი, 21 აპრილი. (საკდესი). არგენტინის საშინაო-პოლიტიკური ვითარება მკვეთრად გამწვავდა. საინფორმაციო სააგენტოები ბუენოს-აირესიდან იუწყებიან, რომ გუშინ საღამოს არგენტინის არმიის ქვეგანაყოფთა ნაწილი აჯანყდა ამ ქვეყნის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობის წინააღმდეგ დედაქალაქის გარეუბანში და მოითხოვა პრეზიდენტ დგოსაგან მთლიანად გააუქმოს 18 მარტის არჩევნების შედეგები. აჯანყებულებს სათავეში უდგას კავალერიის სარდალი გენერალი ენრიკე რაუჩი. მან მოითხოვა გადადგნენ არმიის სარდალი გენერალი პოჯი და სახელმწიფო მდივანი არმიის დარგში გენერალი მარინო კარერასი. დღეს დილით გიდომ გადაყვანა პოჯი და კარერასი და ოაუჩი დანიშნა სახელმწიფო მდივნად არმიის დარგში. მაგრამ უკანასკნელი ცნობები ცხადყოფენ, რომ შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელებმა უარი თქვეს ცნონ პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება. უცხოეთის სააგენტოები იუწყებიან, რომ გენერალ პოჯის ერთგულმა ჯარებმა დაიკავეს ბუენოს-აირესის რადიოსადგური.

ფიდელ კასტრო: „ჩვენს ქვეყანას ბრწყინვალე მომავალი აქვს"

ჰავანა, 21 აპრილი. (საკდესი). კუბის გაერთიანებული რევოლუციური ორგანიზაციების პირველმა მდივანმა და პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ, რომელიც ინტერვიუტებზე კუბელი ხალხის გამარჯვების წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოზე გამოვიდა, აღნიშნა, რომ შეიარაღებული აგრესიის ორგანიზატორებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ კუბელი ხალხი არ დაუშვერდა მხარს კონტრრევოლუციონერებს — იმპერიალიზმის დაქირავებულ აგენტებს. სწორედ ამიტომ შეიმუშავეს მათ გეგმა — გადმოესხთან დაქირავებული აგენტები კუბის ძნელადმისაგდომ ადგილზე, სადაც ყველაზე ადვილი იყო სანაპირო პლაცდარმის შექმნა, გამაგრებულიყვნენ, შეექმნათ დროებითი კონტრრევოლუციური მთავრობა, გაეწიათ მისთვის ყოველგვარი მხარდაჭერა და ეწარმოებინათ ომი კუბელი ხალხის წინააღმდეგ. მხედველობაში უნდა გვქონდეს, თქვა კასტრომ, ეს ვერაგული გეგმა, რომლის განხორციელება აუარაცხელ მსხვერპლსა და ნგრევას მოგვიტანდა, რომ წარმოვიდგინოთ ამერიკელ იმპერიალისტთა დანაშაულის მასშტაბი.

მაგრამ იმპერიალისტები მოტყუვდნენ, ხაზგასმით აღნიშნა კასტრომ. მათი ძირითადი შეცდომა ის იყო, რომ სათანადოდ ვერ შეაფასეს ჩვენი ხალხის, ჩვენი რევოლუციის მამაცობა და ძლიერება. სამხედრო თვალსაზრისით პლაია-ლარგასა და პლაია-ხირონში ბრძოლის მნიშვნელობა ის იყო, რომ ინტერვენტების მიერ დაკავებული სანაპირო პლაცდარმი სწრაფად მოვსპეთ და ამიტომ მტერმა ვერ განახორციელა თავისი გეგმა; მან ვერ გადმოიყვანა კუბის ტერიტორიაზე ძირითადი ძალები, მისმა სტრატეგიამ კრახი განიცადა.

კუბის რევოლუცია, თქვა კასტრომ, დღითი დღე სულ უფრო ძლიერდება. იგი ვითარდება და მტკიცდება ყველა მიმართულებით. ჩვენს ქვეყანას ბრწყინვალე მომავალი აქვს, რადგან ამ მომავლის უზრუნველსაყოფად ყოველივე საჭირო გვაქვს. ფიდელ კასტრომ აღნიშნა, თუ რაოდენ საჭიროა მთელი ძალებით განვითარდეს წარმოება, ამაღლდეს შრომის ნაყოფიერება. ეს ამ მომენტის მთავარი ამოცანაა, თქვა მან. ამასთან ერთად კასტრომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა დაუცხრომლად განვამტკიცოთ სამშობლოს დაცვა, ყოველთვის ვიყოთ მზად, რომ საკადრისი პასუხი გავცეთ ყოველგვარ აგრესიას.

ლაოსი იგრძვის!..

პეკინი, 21 აპრილი. (საკდესი). ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მხოლოდ მტკიცე ბრძოლის გზით ლაოსელი ხალხი შეძლებს შექმნას კოალიციური მთავრობა, განაცხადა გუშინ კან-კაში სინხუას სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში ლაოსის ეროვნული სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარემ გენერალმა კონგ ლემ.

მან პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების რეაქტიული გამანადგურებლები არა ერთხელ შეიჭრნენ ლაოსის საჰაერო სივრცეში მისი დროებითი დედაქალაქის სიენგ-კუანგის თავზე.

ლაოსში შეიქმნა მტკიცე სერიოზული მდგომარეობა, აღნიშნა კონგ ლემ, ამერიკის თვითმფრინავებისა და ქვემეხების მხარდაჭერით და ამერიკელი ოფიცრების სარდლობით შეამბოხეთა ჯარები კვლავ ესხმიან თავს განთავისუფლებულ რაიონებს. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ლაოსში გადაიყვანეს ტაილანდის ჯარების კიდევ ექვსი ბატალიონი და სამხრეთ ვიეტნამის დიდძალი ჯარი ნოსავანის ჯარების დასახმარებლად. როგორც ჩანს, ისინი აპირებენ განსორცილონ საომარი ოპერაცია წვიმის სეზონის დაწყებამდე.

ახლა, განაცხადა კონგ ლემ, ჩვენ საავსებით მზად ვართ საბრძოლველად. თუ ისინი გაბედავენ შეტევაზე გადმოსვლას, საკადრის პასუხს გავცემთ, მოვსპობთ მოწინააღმდეგეს და დავიცავთ განთავისუფლებულ რაიონებს. ჩვენ აუცილებლად მოვთპოვებთ ახალ გამარჯვებებს. ამერიკის იმპერიალიზმი და ფუმიბუნ უმის ხროვა განწირულია.

ტელეგრამა გვატემალიდან

სოფია, 23 აპრილი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა თათბირი იდეოლოგიურ საკითხებზე, რომელიც მოიწვია ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით დღეს თათბირზე ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტიულ მუშაკთა ჯგუფი, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. თ. ილიჩოვი.

ნიუ-იორკი, 21 აპრილი. (საკდესი). კუბის კონტრრევოლუციის ლიდერებმა მაიამიში (ფლორიდის შტატი) გუშინ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ შექმნეს ახალი სამხედრო ორგანიზაცია კუბის რესპუბლიკის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლისათვის.

ჰაბანა, 23 აპრილი. (საკდესი). ჰოლანდიაში მიმდინარეობს მშვიდობის ორდღიანი ლაშქრობა. ჰოლანდიის სხვადასხვა კუთხიდან ავტობუსებით, ავტომობილებით, ველოსიპედებით და ქვეითად ლაშქრობის მონაწილენი მიემართებიან ამსტერდამისაკენ. გუშინ სალამოს ამსტერდამში გაიმართა იქ ჩასულ ლაშქრობის მონაწილეთა და მათდამი შეეთებულ ქალაქის მცხოვრებთა ჩირაღდნებით მსვლელობა. დემონსტრანტებმა ქალაქის ქუჩებში ჩაიარეს შავი დროშებით, რომლებიც სიმბოლოა დიდი საფრთხისა, რასაც მოასწავებს ატომური იარაღის წარმოებისა და გამოცდის განგრძობა.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში უკანასკნელ ხანს გარაღდა საგაფიცვო მოძრაობა მშენებელი მუშებისა, რომლებიც მოითხოვენ ხელფასის გადიდებას სიძვირის გამო.

სურათზე: გაფიცულთა პიკეტი მრავალსართულიან შენობა „იუნალექვერ ჰოსჰაუზთან", რომელიც ჰამბურგში შენდება.

ფოტო ცენტრალბილდ-საკდესისა.

განაჩენი გარაკის საქმის გამო

პრაღა, 21 აპრილი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, 17-20 აპრილს ჩეხოსლოვაკიის უმაღლესი სამხედრო სასამართლოს კოლეგიამ განიხილა რუდოლფ ბარაკის საქმე. მასთან ერთად გასამართლებული არიან მისი თანამონაწილენი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომლები ვ. ენიში, ი. ონდრიჩეკი და ი. სოუჩეკი.

მთავარმა სამხედრო პროკურორმა ბრალად დასდო რ. ბარაკს ის, რომ შინაგან საქმეთა მინისტრად ყოფნის დროს, განსაკუთრებით 1960-1961 წლებში იგი ფლანგავდა სახელმწიფო სახსრებს უცხოეთის ვალუტით. ვაქინაციების გზით მან მიითვისა აგრეთვე დიდი თანხა ჩეხოსლოვაკიური კრონებით. თავისი დანაშაულებრივი საქმიანობით რ. ბარაკი ფუშავდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ნორმალურ საქმიანობას ზოგიერთ უბანზე და სერიოზული საფრთხე შეუქმნა ჩეხოსლოვაკიის უშიშროებასა და ეკონომიკას. ბრალდება ამდენად აშკარა იყო, რომ რ. ბარაკმა აღიარა თავისი დანაშაულებრივი საქმიანობა.

უმაღლესმა სამხედრო სასამართლომ რ. ბარაკს მიუსაჯა 15 წლის თავისუფლების აღკვეთა, ვ. ენიშს — 10 წლის ვადით, ი. ონდრიჩეკს — სამი წლის ვადით, ი. სოუჩეკს — 10 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეეცალა სამი წლის პირობითი სასჯელით. ბრალდებულებს რ. ბარაკს, ვ. ენიშსა და ი. ონდრიჩეკს მიესაჯათ აგრეთვე ქონების კონფისკაცია, ჩამოერთვათ საპატიო წოდებანი, ჯილდოები და სამხედრო წოდებანი.

სისხლისღვრა ათენის ქუჩებში

ნიუ-იორკი, 21 აპრილი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ათენიდან იუწყება:

პარასკევს საღამოს მზის ჩასვლიდან შუაღამემდე ეს ქალაქი, რომელშიც მილიონნახევარზე მეტი მოსახლეობა ცხოვრობს, ბრძოლის ველს წარმოადგენდა. პოლიციის მოძრაობა ქვეგანაყოფები ქალაქში დადიოდნენ ჩართული საყვირებით. პოლიცია ვერ ასწრებდა ბრძოლის მონაწილეთა გაფანტვას ქალაქის ერთ ნაწილში, როგ მეორე ადგილზე ჩაღდებოდა ბრძოლა.

ათასობით დემონსტრანტი ხუთ საათს ებრძოდა პოლიციელებს ათენის ქუჩებში, უშენდა ქვას. ერთ-ერთი შეტაკების დროს ქალაქის ცენტრში პოლიციელებმა, რომლებიც ჯავშნიან ავტომობილებში ისხდნენ, გამოიყენეს ცრემლსადენი გაზიანი 300-ზე მეტი გრანატი, რომ გაეფანტათ დემონსტრანტები.

ხელისუფლები იუწყებიან, რომ შეტაკების შედეგად დაჭრილია 80 კაცი, მათ შორის 20 პოლიციელი. დაახლოებით 20 დემონსტრანტი და 10 პოლიციელი სერიოზულად დაიჭრა. დაპატიმრებულია 240 სამოქალაქო პირი.

შეტაკება დაიწყო, როცა პოლიციამ ალყა შემოარტყა მოედანს, სადაც ოპოზიციის უდიდესმა პარტიამ „ცენტრის კავშირმა" მოაწყო მიტინგი, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ აკრძალა ამგვარი კრებები.

ათენის პოლიცია და არმიის ნაწილები დღეს კვლავ საბრძოლო მზადყოფნაშია.

ისრაელის **სახელმწიფოში საყოველთაო გაფიცვა გაიმართა. მისი მონაწილენი ხელფასის გადიდებას მოითხოვენ. პრესის ცნობით, გაფიცულთა რიცხვმა 100.000 კაცს მიაღწია. დემონსტრაციის დროს მოხდა შეტაკებანი პოლიციასთან. რამდენიმე ათეული კაცი დაიჭრა, 23 დემონსტრანტი დაუპატიმრეს. ეს სურათი გადაღებულია ტელ-ავივის გარეუბან რამატგანში, ფაბრიკა „ელიტის" ახლოს.**

სურათზე: პოლიციელთა თავდასხმა გაფიცულებზე.

ფოტო ვ. უინკინისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

გამოდის შემოქმედებითი ახალგაზრდობა

მოსკოვი, 21 აპრილი. (საკდესი). ა. ი. ჩაიკოვსკის სახელობის მეორე საერთაშორისო კონკურსზე დასასრულს უახლოვდება პიანისტთა შეჯიბრების პირველი ტური.

კონსერვატორიის დიდ დარბაზში, სადაც შემოქმედებითი ასპარეზობა მიმდინარეობს, უკვე ორმოცჯერ და მეტად შესრულდა ჩაიკოვსკის „ფიქრი", რომელიც სავალდებულოა ყველა კონკურსანტისათვის, ბევრჯერ შესრულდა სკრიაბინის მე-12 ეტიუდი, ლისტის „ნადირობა", მოცარტის სონატა სი-ბემოლ მაჟორი... და თითქმის ყოველ „წაკითხვაში" მსმენელები ხედავენ რაღაც ახალს, ამა თუ იმ შემსრულებლის შემოქმედებითი ინდივიდუალობისათვის დამახასიათებელს.

მოსკოველებს განსაკუთრებით ახარებთ ყველაზე ახალგაზრდა მუსიკოსების შემართება. ბოლო მოსმენებზე მათ გაიცნეს ახალგაზრდა, ჯერ კიდევ ნაკლებადცნობილი პიანისტები ჩინეთიდან, საფრანგეთიდან და სხვა ქვეყნებიდან.

დღეგანდელ მოსმენაზე „ახალგაზრდა თაობას" წარმოადგენდა 19 წლის ელისო ვირსალაძე (სსრ კავშირი). თბილისის კონსერვატორიის მეორე კურსის სტუდენტმა პირველი მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა შარშან მოსკოვში სრულიად საკავშირო კონკურსზე, სადაც ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა. ახლანდელ კონკურსზე ქართველმა ინსტრუმენტალისტმა განსაკუთრებით წარმატებით შეასრულა ბახის, მოცარტის, ჩაიკოვსკის ნაწარმოებები. დილით კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამოვიდა აგრეთვე 1960 წელს ვარშავაში გამართული შოპენის სახელობის კონკურსის 20 წლის ლაურეატი ვალერი კასტელსკი (სსრ კავშირი).

მოსკოველებმა გულთბილად მიიღეს აგრეთვე გამოცდილი ინსტრუმენტალისტი კატრინ სილო (საფრანგეთი). მან სამჯერ მოიპოვა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის წოდება — უენევაში (1959 წელი), ბარსელონაში (1961 წელი) და პარიზში (1961 წელი).

იმავე დღეს კონსერვატორიის დიდ დარბაზში დაუკრეს კრისტიუ კავალაკოვმა (ბულგარეთი), ლუსი ია ანანიმ (ამერიკის შეერთებული შტატები), რუმი ნანავატიმ (ინდოეთი), ანდრეს აკოსტამ (მექსიკა), აიზიკ ურმანმა (საფრანგეთი).

ქართველ პიანისტთა პირველი გამარჯვება

მოსკოვი, 23 აპრილი. („კომუნისტის" საკ. კორ.). პიანისტთა ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსის უიურიმ ემილ გილელსის თავმჯდომარეობით შეაჯამა პირველი ტურის შედეგები. პირველ ტურის მონაწილე 55 პიანისტიდან მეორე ტურში გავიდა მხოლოდ 23.

მათ შორისაა ათი საბჭოთა ინსტრუმენტალისტი — ა. ეგოროვი, ა. გოლოლობოვი, ვ. კამეშვი, დ. სახაროვი, ც. კვერნაძე, მ. გოგლიძე-მდივანი, ვ. აშკენაზი, ა. ნასდიკინი, ე. ვირსალაძე, ე. მურინა. ოთხ-ოთხი პიანისტი გამოვა ამერიკის შეერთებული შტატებისაგან (რ. ბოგასი, დ. ბენოვეცი, ს. სტარი, ო. ფუსკი) და საფრანგეთისაგან (ე. იოსა, კ. ბიიო, ფ. პომეე, კ. სილი). გარდა ამისა, შემოქმედებითს შეჯიბრებას განაგრძობენ ვ. კამენიკოვა (ჩეხოსლოვაკია), დ. ოგდონი (დიდი ბრიტანეთი), ინ ჩენ-ძუნი (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა), ი. მოლნარი (რუმინეთი), ს. ტიელესი (კუბა).

პიანისტთა კონკურსის უიურის მდივანმა ლევ ვლასენკომ „კომუნისტის" კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა: სამივე ქართველმა პიანისტმა — ე. ვირსალაძემ, მ. გოგლიძე-მდივანმა და ც. კვერნაძემ მოიპოვეს პირველი გამარჯვება და გავიდნენ მეორე ტურში.

კონკურსის პირობების თანახმად მეორე ტურში გადიოდა მხოლოდ ის პიანისტი, რომელიც პირველ ტურში დააგროვებდა 18 ბალს 25 შესაძლებლიდან. ამ ამოცანას ქართველმა პიანისტმა ქალიშვილებმა წარმატებით გაართვეს თავი.

პირველი ტურის ბალების მიხედვით ქართველ პიანისტთა შორის წინ არის ელისო ვირსალაძე, შემდეგ მარინე გოგლიძე-მდივანი და ცილა კვერნაძე.

მეორე ტურში გასვლით სამივე ქართველმა პიანისტმა მოიპოვა ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსის სიგელი, რომლითაც ეფორე ტურის ფინალში ასვლას ნიშნავს. ეს ორ ქართველ მონაწილეს აჯილდოებენ ...

... ეროვნული ... ...